ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 20 – 21 თებერვალი, 2016 №42 (6968) ფასი: 50 თეთრი

## ევროპა ინგლისის გარეშე მოიწყენს



გვ.9

### სტატისტიკა, ფსონები

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.02 ბეტისი-ხიხონი | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 20.02 გლადბახი-კიოლნი | 1.95 | 3.75 | 3.6 |
| 20.02 ინტერი-სამპდორია | 1.6 | 3.75 | 5.0 |
| 20.02 პსჟ-რეიმსი | 1.2 | 6.0 | 15.0 |
| 21.02 მალაგა-რეალი | 4.75 | 4.0 | 1.67 |
| 21.02 ლევერკუზენი-დორტმუნდი | 3.4 | 3.6 | 2.05 |
| 21.02 მარსელი-სტ.ეტიენი | 1.95 | 3.25 | 4.2 |
| 22.02 ნაპოლი-მილანი | 1.61 | 3.8 | 4.8 |

# დარჩება თუ არა ეროვნული ფორუმი კოალიციაში?



ანი მიროტაძე: „ფორუმი გადაწყვეტილებას მარტის ბოლოს გამოიტანს“

გვ.5

## გოგი თოფაძე ძმები ბერძენიშვილების წინააღმდეგ

ლევან ბერძენიშვილი: „გოგის ვერ ვხედავ ვერც პოლიტიკაში და ვერც ბიზნესში“

გვ.3



გოგი თოფაძე: „ხალხს მურვან ყრუ არ სძულდა ისე, როგორც ძმები ბერძენიშვილები“



ლანა პაპიძე: „ეს არის ზღაპრები“

გვ.2

## პროკურატურა: „მაგდა პაპიძის დღიური ადასტურებს, რომ მან ქმარი და შვილი მოკლა“

## პროკურორმა გერგედავამ ფული დააბრუნა

მერია: „ნარმანია შეაცდინეს“

გვ.4



## შოთა მალაშხია: „კოალიციიდან რესპუბლიკელებსაც გაუშვებენ და მრეწველებსაც“

„სუბიექტები საგარეო ორიენტაციის მიხედვით დალაგდებიან“

გვ.5



ISSN 1987-9385



გვ.4

## სანდრო ბრეგაძე გადადგა

„რესპუბლიკელებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ გადავმდგარიყავი“

## გურამ ვახტანგაშვილი: „ლიახვის ხეობაში არც ერთი ქართველი აღარ ცხოვრობს“

– გვ. 4 –



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# პროკურატურა: „მაგდა პაპიძის დღიური ადასტურებს, რომ მან ქმარი და შვილი მოკლა“

## ლანა პაპიძე: „ეს არის ზღაპრები“







მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ქმრისა და შვილის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძის საქმეში ერთ-ერთ მთავარ მტკიცებულებას თავად ბრალდებულის დღიური წარმოადგენს.

როგორც უწყების მიერ 19 თებერვალს გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, პაპიძის დღიურში არსებული ჩანაწერები ადასტურებს, რომ ბრალდებულს მეუღლისა და შვილის მკვლელობა წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი.

დღიურში მაგდა პაპიძეს გაკეთებული აქვს შემდეგი სახის ჩანაწერი:

„ურო (ნაჭრით გახვეული).

პარკები დიდი გახსნილი, გამზადებული.

პროსტინა გამზად, პირსახ. გამზად.

წყალი გავსებული ტოლჩა, ჩაინიკი.

ტანსაცმელი გაუმზადო ორივეს. გავიმზ.

ტანსაცმელი. სიდენიებს გადავაფარო შავი დიდი პარკები“.

— ხსენებული ჩანაწერის ანალიზი ცხადჰყოფს, რომ მაგდა პაპიძეს წინასწარ ჰქონდა განზრახული მეუღლისა და შვილის მკვლელობა, გეგმავდა, თუ როგორ უნდა განეხორციელებინა აღნიშნული და წაეშალა დანაშაულის კვალი, — ნათქვამია პროკურატურის მიერ, აღნიშნული საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით გავრცელებულ შუალედურ შედეგებში.

პროკურატურის განცხადებას გამოეხმაურა მაგდა პაპიძის და, ლანა პაპიძე.

ის აცხადებს, რომ მის დას დღიური არასდროს უწარმოებია, გამოძიება კი ჩიხშია შესული.

— პროკურატურის გამოფენა ჩემთვის უცხო არ იყო, ამაზე ადრეც იყო ლაპარაკი. გამოფინეს მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ ჩიხშია შესული გამოძიება და ველარ აგნებენ გზას, საიდან რა გააკეთონ. ჩემი და ისეთი შტერი გოგო არ არის, რომ დღიური ეწარმოებინა სერიულ მკვლელობაზე, ეს დღიური ტელევიზორზე დადო. ეს არის ზღაპრები, მაგრამ მეტი გზა არ აქვთ. უნდათ, რომ ხალხში ახალი ბუნტი დაიწყონ და ჩემი ოჯახის წინააღმდეგ წაიყვანონ ხალხი. ნორმალურად და საღად მოაზროვნე ხალხი ამას სხვა კუთხით მიუდგება, ჯერ ერთი დაგეგმვა და შემდეგ ჩაწეროს დღიურში, როგორ რა უნდა გააკეთოს? ეგ იმას მიუყარონ, ვინც დაიჯერებს, — განუცხადა პალიტრატვ.გეს ლანა პაპიძემ.

მისივე თქმით, დღიურში არსებული ჩანაწერების კალიგრაფია მისი დის კალიგრაფიას არ ჰგავს.

— ჯერ ერთი კალიგრაფია ჩემი დისას არ ემთხვევა. რა, დაგეგმა შვილისა და ქმრის მკვლელობა, დღიურში ჩაწერა, გამოააშკარავა და მერე თურმე ტელევიზორზე დადო? დედამთილმა იპოვა და პროკურატურას გადასცა? — აღნიშნა ლანა პაპიძემ.

* * *

2015 წლის 20 დეკემბერს, მაგდა პაპიძე ბრალდებულის სახით იქნა დაკავებული მეუღლისა და 5 წლის შვილის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის გამო.

ბრალდების თანახმად, 2015 წლის 19 დეკემბერს, ღამის საათებში, ქ.თბილისში, გ.ფერაძის ქუჩის №6-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის №10 ოთახში მაგდა პაპიძემ, თავის არეში მკვრივი ბლაგვი საგნის, უროს ჩარტყმით მოკლა მეუღლე ომარ ქაფიაშვილი და გაგუდა მცირეწლოვანი შვილი, 2010 წელს დაბადებული თორნიკე ქაფიაშვილი, რის შემდეგაც შეეცადა დანაშაულის კვალის წაშლას.

შემთხვევის ადგილზე მისული სამართალდამცველების მიერ ქ.თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა #6-ში მდებარე მაგდა პაპიძისა და ომარ ქაფიაშვილის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს წინ ნანახი იქნა ომარ ქაფიაშვილისა და თორნიკე ქაფიაშვილის გვამები.

ომარ და თორნიკე ქაფიაშვილებს ტანთ ეცვათ ზამთრის სეზონისთვის შეუფერებლად. კერძოდ: ომარ ქაფიაშვილს ეცვა მხოლოდ სპორტული შარვალი, მაისური და წინდები, ხოლო თორნიკე ქაფიაშვილს მოკლესახელოებიანი მაისური, რეიტუზი და სპორტული შარვალი.

ომარ ქაფიაშვილის გვამს ზურგზე აღენიშნებოდა სხეულის იატაკზე გათრევისათვის დამახასიათებელი კვალი. მაგდა პაპიძისა და ომარ ქაფიაშვილის საცხოვრებელ ოთახში, ანუ მკვლელობის უშუალო ადგილას, სისხლის კვალის წაშლის მიზნით გაწმენდილი იყო იატაკი და ავეჯი.

სისხლის ლაქების აღმოსაჩენად გამოძიების მიერ გამოყენებულ იქნა სპეციალური საშუალებები, რის შედეგადაც იატაკზე, ოთახში არსებულ კარადაზე, მაგიდაზე, ტუმბოზე, საწოლზე, დივანზე და ოთახის კედლებზე აღმოჩნდა ომარ ქაფიაშვილის სისხლის მრავალი კვალი.

სისხლის კვალი ასევე აღმოჩნდა ამავე ოთახიდან დერეფანში გასასვლელი კარის ჩარჩოზე და დერეფანში ქაფიაშვილის გვამის აღმოჩენის ადგილამდე, რაც მოწმობს იმას, რომ გვამის აღმოჩენის ადგილამდე ომარ ქაფიაშვილის სხეული გადაადგილებულია ოთახიდან და არა — დერეფნიდან, როგორც ამას მაგდა პაპიძე უთითებს.

ომარ ქაფიაშვილის სისხლი ასევე აღმოჩნდა მისი კუთვნილი ავტომანქანის უკანა მარჯვენა საბურავზე და წინა მარჯვენა კარის კარნიზზე, რაც მოწმობს, რომ ბრალდებული ეცადა გვამის ავტომანქანაში ჩადებას, თუმცა ვერ შეძლო.

სწორედ ამ გამოუვალი მდგომარეობის გამო დაიწყო მაგდა პაპიძემ ყვირილი და თითქოსდა „საშველად“ მოუხმო მეზობლებსა და დედამთილს.

გამოძიების მიერ საცხოვრებელ კორპუსთან მდებარე ნაგვის ურნიდან ამოღებული იქნა დანაშაულის იარაღი — დიდი ზომის ჩაქუჩი, ე.წ. ურო.

დნმ-ის ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, უროს სხვადასხვა ნაწილზე აღმოჩნდა ომარ ქაფიაშვილის სისხლი, ხოლო უროს ტარზე აღმოჩნდა მხოლოდ მაგდა პაპიძის ბიოლოგიური მასალა — დნმ, რაც ადასტურებს, რომ ურო სწორედ მაგდა პაპიძემ ჩაარტყა თავში მწოლიარე მდგომარეობაში მყოფ მეუღლეს, რაზეც ასევე მიუთითებს ნაგვის ურნიდან ამოღებული ომარ ქაფიაშვილის სისხლით გაჟღენთილი ბალიში.

ნაგვის ურნიდან ამოღებული იქნა გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი სხვა ნივთმტკიცებებიც: ომარ ქაფიაშვილის სისხლით დასვრილი ზეწარი, პირსახოცი, სხვადასხვა საოჯახო ნივთი, ტანსაცმელი, მუყაოს კოლოფები, წიგნები და რვეულები, ანუ ყველა ის ნივთი, რომელიც ოთახში ომარ ქაფიაშვილის მკვლელობის დროს დაისვარა სისხლით. აღნიშნული ნივთები, კვალის წაშლის მიზნით, სანაგვე ურნაში ბრალდებულმა მაგდა პაპიძემ გადაყარა.

ურო მაგდა პაპიძემ მაღაზიაში სწორედ დანაშაულის ჩადენის დღეს შეიძინა, რასაც ადასტურებს როგორც მაღაზიის გამყიდველის ჩვენება და ამოცნობის ოქმი, ასევე ამოღებული ვიდეოჩანაწერი, სადაც ჩანს, თუ როგორ გადაადგილდება მაღაზიიდან გამოსული მაგდა პაპიძე უროთი ხელში შვილთან, 5 წლის თორნიკესთან ერთად.

მკვლელობის ჩადენის შემდეგ, მაგდა პაპიძე შეეცადა კვალის წაშლას, კერძოდ, გაწმინდა იატაკი, ავეჯი, ნაგვის ურნაში გადაყარა სისხლიანი ნივთები და გვერდით მცხოვრები დედამთილის საცხოვრებელ ოთახში არსებულ სარეცხის მანქანაში გარეცხა სისხლით დასვრილი იმ დივნის გადასაფარებელი, რომელზეც თავში უროს ჩარტყმით მოკლა მწოლიარე მეუღლე.

მაგდა პაპიძისათვის ჩატარებული ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ დანაშაულის ჩადენის დროს იგი იყო შერაცხადი და არ იმყოფებოდა აფექტის მდგომარეობაში.

ის ფაქტი, რომ მაგდა პაპიძემ მეუღლე მათსავე საცხოვრებელ ოთახში მოკლა, ასევე დადასტურებულია ომარ ქაფიაშვილის დედის დარეჯან (ლილი) მინდიკაურის ჩვენებითაც, რომელმაც განმარტა, რომ 2015 წლის 19 დეკემბერს, საღამოს, როდესაც შევიდა შვილის ოთახში, ომარ ქაფიაშვილს ეღვიძა და იწვა დივანზე.

აღნიშნული ოთახის დათვალიერებისას, მითითებული დივნის ქვედა სათავსოდან და მისი ზედაპირიდან ამოღებულია დიდი რაოდენობით ომარ ქაფიაშვილის სისხლის ლაქები.

გამოძიებისთვის უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ მკვლელობის დღეს, გვიან ღამით, როდესაც დედამთილმა დარეჯან (ლილი) მინდიკაურმა მობილური ტელეფონის საშუალებით მაგდა პაპიძესთან მოიკითხა შვილი და შვილიშვილი, ბრალდებულმა მას განუცხადა, რომ ისინი უკვე მოდიოდნენ სახლში, არ ენერვიულა და დაეძინა.

სატელეფონო კავშირის დროისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით დადგენილი მამა-შვილის სიკვდილის დროის შედარებისას აშკარაა, რომ მაგდა პაპიძეს მეუღლე და შვილი ამ დროს უკვე მოკლული ჰყავდა.

მაგდა პაპიძის დის, ლანა პაპიძის ჩვენებით დადგენილია, რომ მაგდა პაპიძეს ჰყავდა მეგობარი მამაკაცი და ბოლო პერიოდში უკიდურესად აგრესიულად იყო განწყობილი მეუღლის, ომარ ქაფიაშვილის მიმართ.

მისივე ჩვენებით, მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე მაგდამ სთხოვა ჩაქუჩი.

მაგდა პაპიძის დედის, ლიანა შამუგიასჩვენებით, მათი სიძე, ომარ ქაფიაშვილი იყო მოსიყვარულე მამა და მეუღლე, მოკრძალებული, მშვიდი, გაწონასწორებული და რელიგიური ადამიანი, ხოლო თავად მაგდა ბოლო პერიოდში ნეგატიურად იყო განწყობილი მეუღლის მიმართ.

გამოძიება თვლის, რომ მტკიცებულებების ერთობლიობით, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დგინდება, რომ მაგდა პაპიძემ ჩაიდინა დამამძიმებელ გარემოებებში მეუღლისა და შვილის განზრახ მკვლელობა.

— საქმეზე გამოძიება გრძელდება და საბოლოო შედეგების შესახებ დამატებით ეცნობება საზოგადოებას, — ნათქვამია მთავარი პროკურატურის მიერ გავრცელებულ ანგარიშში.

# ბაია გადაბაძე „მაესტროს“ კრედიტორთა კრების გადადებაზე: „ეს იყო სამარცხვინო სპექტაკლი“



ტელეკომპანია მაესტროს კრედიტორთა კრება გაჩეჩილაძეების შუამდგომლობის საფუძველზე გადაიდო და ის მიმდინარე წლის 15 მარტს, 14:00 საათზე გაიმართება. თბილისის საქალაქო სასამართლოში 19 თებერვალს აღნიშნულის შესახებ დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში მსჯელობდნენ.

მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა გაჩეჩილაძეების ადვოკატის და აღსრულების ბიუროს შუამდგომლობა და განაცხადა, რომ კრება ლევან გაჩეჩილაძის მაესტროს დირექტორად დარეგისტრირებამდე არ გაიმართება.

ბაია გადაბაძის განცხადებით, ის მომავალში აპირებს, რომ სამართლებრივი ჩარჩოებით იმოქმედოს.

— ეს იყო სამარცხვინო სპექტაკლი, სადაც გაჩეჩილაძეების მხარე, იუსტიციის სამინისტრო და მოსამართლე უბრალოდ სამ ხმაში მღეროდნენ და ხმებს უწყობდნენ ერთმანეთს. მოსამართლე ქოჩიაშვილმა ყველა კრედიტორის პოზიცია მოისმინა, რომლებიც აცხადებდნენ თუ რა მნიშვნელობა აქვს დირექტორის დანიშვნას, თუ მათი ვალის გადახდა არ მოხდება. მიუხედავად ამისა 10 ადამიანს მოუსმინა და ძალიან დამაჯერებლად თქვა, რომ კრება გადადო. მე ისიც მაინტერესებს, თუ როგორ მოახერხებს ლევან გაჩეჩილაძე 54 მილიონის გადახდას, მაშინ როდესაც მისი კუთვნილი პროცენტები, 55% თუ 30% შეიძინა მან პროცენტიანი ვალით, — განაცხადა გადაბაძემ.

გაჩეჩილაძეების ადვოკატის ირაკლი კორძახიას განცხადებით კი, სასამართლომ გაიზიარა შუამდგომლობაში არსებული სამართლებრივი დასაბუთება იმ კუთხით, რომ „მაესტრო“ ვერ იქნებოდა სათანადო წესით წარმოდგენილი კრედიტორთა კრებაზე, რადგან დირექტორი, რომელიც კომპანიას მართავს, პარტნიორთა კრების მიერ გათავისუფლებულია.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გოგი თოფაძე ძმები ბერძენიშვილების წინააღმდეგ

## გოგი თოფაძე: „ხალხს მურვან ყრუ არ სძულდა ისე, როგორც ძმები ბერძენიშვილები“

შორენა მარსაგიშვილი

**კოალიცია „ქართულ ოცნებაში" კარგა ხანს სიმშვიდე აღარ იქნება. თოფაძის ნასროლ სიტყვებს ხელისუფლებაში ისეთი ამბები მოჰყვა, ნაციონალური მოძრაობაც რომ ვერ ინატრებდა.**

19 თებერვალს კოალიციაში დაწყებულმა დაპირისპირებამ უკვე გამოიღო თავისი შედეგი. რესპუბლიკელებთან დაპირისპირებულ სანდრო ბრეგაძეს თანამდებობის დატოვება მოუხდა.

რესპუბლიკელებსა და მრეწველებს შორის გაჩენილი ცეცხლი ვერავინ რომ ვერ გაანელა, საქმეში პრემიერი გიორგი კვირიკაშვილიც ჩაერთო, მაგრამ ამაოდ. ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა.

მრეწველთა და რესპუბლიკელთა დაპირისპირების ახალი ტალღა 18 თებერვალს გოგი თოფაძის მიერ გაკეთებულმა ახალმა განცხადებამ გამოიწვია.

მისი თქმით, ძმები ბერძენიშვილები იჩემებენ, რომ კოალიციაში წამყვანები არიან, სინამდვილეში კი ისინი საქართველოს მოსახლეობას სძულს.

— ესენი ნუ იჩემებენ, რომ არიან წამყვანი გუნდი ჩვენს კოალიციაში. პირიქით, მე მეტს გეტყვით, ესენი ისე სძულს საქართველოს მოსახლეობას, ვერსად მარტო ვერ იყრიან კენჭს. მურვან ყრუ რომ იყო, ასე არ სძულდათ, როგორც ესენი სძულთ. ამიტომ ესენი ვერ გაბედავენ ვერსად, რომ ცალკე გავიდნენ. ვიღაცას უნდა ჩამოეკიდონ. არ აქვთ მათ მორალური უფლება, ასე ხელაღებით ილაპარაკონ კოალიციის რომელიმე წევრზე. არასოდეს მე, მიუხედავად იმისა, რომ რაღაცებში არ ვეთანხმებოდი, სანამ არ დამიწყეს შეურაცხყოფა და კბენა, კოალიციის არცერთ წევრზე უარი ან აუგი არ მითქვამს, — განაცხადა თოფაძემ.

ის ამტკიცებს, რომ რესპუბლიკურ პარტიას არაფერს ერჩის და პრეტენზიები მხოლოდ ძმებისა და თინა ხიდაშელის მიმართ აქვს. ის ლევან ბერძენიშვილს ციხეში ყოფნის პერიოდსაც ახსენებს და ამტკიცებს, რომ კაგებესთან თანამშრომლობდა.

— ლევან ბერძენიშვილს შუბლის ძარღვი გაწყვეტილი რომ არ ჰქონდეს, ასე აქტიურად არ ჩაერეოდა. მე 80-იანი წლების მის ძალიან სამარცხვინო ქმედებას მოგიყვანთ, როდესაც მისი თანაგუნდელები, რომლებიც პოლიტიკური საბაბით ერთად იყვნენ პატიმრები, როგორ ჩაუშვა, როგორ გაათავისუფლეს თვითონ კაგებეს თანამშრომლებმა, დანიშნეს სამსახურში და როგორ ჩააგდო ვახტანგ ძაბირაძე, ვახტანგ შონია და ზამბახიძე. ამის მერე მის ბიოგრაფიას აღარ მოვყვები. საჯარო ბიბლიოთეკაში რაც გააკეთა, ეს კიდევ სხვა თემაა, — აღნიშნა მრეწველთა ლიდერმა.



ლევან ბერძენიშვილი: „გოგის ვერ ვხედავ ვერც პოლიტიკაში და ვერც ბიზნესში“



გოგი თოფაძის განცხადება ძმებ ბერძენიშვილებს უპასუხოდ არ დაუტოვებიათ.

ლევან ბერძენიშვილის თქმით, მას გოგი თოფაძის ბედი არ აღელვებს, რადგან მის მომავალს ვერც პოლიტიკასა და ვერც ბიზნესში ვერ ხედავს:

— არ ვაკადრებ იმას, რაც ეკუთვნის და მისი შეურაცხყოფა ძალიან გამიჭირდება, იმიტომ, რომ რაც უნდა ვთქვა, იმაზე ნაკლები იქნება, ვიდრე მას ეკუთვნის. მართალი გითხრათ, მე მისი ბედი არ მაღელვებს, იმიტომ რომ მას საერთოდ ვერ ვხედავ ვერც პოლიტიკაში და ვერც ბიზნესში, იმიტომ, რომ მან დაარღვია ადამიანობის ყველა წესი, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

მისი უმცროსი ძმა დავითი მიიჩნევს, რომ მრეწველთა ლიდერის ადგილი კოალიციაში არ არის, რადგან ის კაგებესა და ასლან აბაშიძის ენით მეტყველებს.

— ივანიშვილისთვის თოფაძე ახლობელია, ჩემი ახლობელი არ არის და ამიტომ მის ასაკს ხაზს ვერ გავუსვამ. ეს არის 90-იან წლებში რუსეთის კგბსა და ასლან აბაშიძის ერთობლივი ტექსტები. ეს ჩვენ უამრავჯერ მოგვისმენია. მურვან ყრუზე უფრო მეტად ვეზიზღებით რესპუბლიკელები ქართველებს. ეს ნამეტანი მოუვიდა თოფაძეს. საქართველო რომ ნატოში არ უნდა იყოს, რომ თინა ხიდაშელი გამყალბებელია და პროკურატურაში უნდა დაიკითხოს, ასეთი მოსაზრებების მქონე თოფაძის ხელმძღვანელობით კოალიციაში ვერავინ იქნება. პირველ პოზიციაზეა „ქართული ოცნება“, მეორეზე — რესპუბლიკელები. ცალკე გასვლაზე გითხარით, 0.99% იყო მრეწველთა შედეგი 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, — აღნიშნა დავით ბერძენიშვილმა.

ამ დაპირისპირებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრემიერიც გამოეხმაურა.

გიორგი კვირიკაშვილი თავის დაქვემდებარებაში მყოფ პირს ანუ თავდაცვის მინისტრს გადაეფარა.

მისი თქმით, ხიდაშელის მიმართ თოფაძის განცხადებები აბსოლუტურად მიუღებელია და ჩირქს სცხებს მთავრობას.

— ეს აბსოლუტურად მიუღებელია და ჩირქს სცხებს არა ერთ პარტიას, არამედ მთლიანად მთავრობას ყველანაირი საფუძვლის გარეშე. ჩვენს თანაგუნდელებს მინდა მოვუწოდო, რომ ასეთი საკითხები, თუ მათ აქვთ შეკითხვები, სხვა წესითა და ფორმატით უნდა განიხილებოდეს.

ჩვენი ერთიანობა ძალიან მნიშვნელოვანია. ყველა ადამიანი, რომლებიც მზად არიან, ჩვენთან ერთად აიღონ ეს ტვირთი და ის არ არის მსუბუქი, იმ პრინციპებითა და ხედვით, რომლითაც ჩვენ წინ მივდივართ, ჩვენს ქვეყანას ემსახურონ, მზად ვართ, კარი გავუღოთ, არათუ იმაზე ვიფიქროთ, ჩვენ დავიშალოთ და სალაპარაკო მივცეთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს ნამდვილად უხარიათ, — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

მთავრობის მეთაურის რისხვისგან გოგი თოფაძის დაცვა ზურაბ ტყემალაძემ ცადა.

ის კვირიკაშვილის მოსაზრებას არ იზიარებს და აცხადებს, რომ თოფაძის განცხადებები და კრიტიკა ერთ კონკრეტულ ადამიანს ეხებოდა და არა — მთელ კოალიციას:

— ნამდვილად არ ვიზიარებ მთავრობის მეთაურის ამ პოზიციას. პრემიერმა დააფიქსირა, რომ ეს აზიანებს კოალიციას. კოალიციაზე არ უსაუბრია გოგი თოფაძეს. საუბარი იყო ერთ კონკრეტულ პირზე, — განაცხადა ტყემალაძემ.

მისმა თავდადებამ ჭმუნვაში ჩააგდო დავით ბერძენიშვილი, რომელიც 19 თებერვალს მთელი დღის განმავლობაში ამტკიცებდა, რომ რესპუბლიკელები და მრეწველები შესანიშნავად უგებენ ერთმანეთს.

— ძალიან ვწუხვარ, რომ მრეწველთა პარტიის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე, რომელიც ფრთხილი, კორექტული კაცია, მაინც მეგობრისკენ გადაიხარა, ვიდრე პარტიული ინტერესების დაცვისკენ. როცა ტყემალაძემ განაცხადა, რომ ის არ ეთანხმება კოალიციის ლიდერს, მე არ მგონია, ეს კარგი იყოს. საჯაროდ მინდა ვთქვა, რომ რესპუბლიკური პარტია კარგად ვთანამშრომლობთ მრეწველებთან და ერთი კაცის პოზიციას ნუ გადააყოლებენ თანამშრომლობის გაგრძელების შესაძლებლობას, — აღნიშნა ბერძენიშვილმა.

რესპუბლიკელებისა და მრეწველების სიამტკბილობაზე გააკეთა განცხადება განხეთქილების ვაშლის ანუ თინა ხიდაშელის მეუღლემაც.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, მრეწველებსა და რესპუბლიკელებს შორის პრობლემა არ არსებობს.

მისი თქმით, არსებობს საკითხები, რომლებიც კოალიციურ რეჟიმში უნდა გადაწყდეს.

— დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კოალიციურ რეჟიმში გადაწყდება და მოგვარდება, ისე, როგორც ეს დღემდე არაერთხელ მოგვარდა და გადაწყდა ქვეყნის და არა რომელიმე პარტიის თუ პირის სასარგებლოდ. ეს საკითხიც ქვეყნის სასარგებლოდ გადაწყდება. ამ პროცესში ჩვენი ქვეყანა და მოქალაქეები იქნებიან გამარჯვებული და არა რომელიმე პირი ან პარტია, — განუცხადა ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა.

თოფაძე-ბერძენიშვილების დაპირისპირებაში ჩარევას მაქსიმალურად ერიდებიან კოალიციის სხვა წევრები. ამ მომენტისთვის არავინ იცის, ვისკენ გადაიხრება ბიძინა ივანიშვილი. საარჩევნო სიების ფორმირების წინ კი მისი განაწყენება არავის უნდა.

# სანდრო ბრეგაძე გადადგა

## „რესპუბლიკელებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ გადავმდგარიყავი“

შორენა მარსაგიშვილი

**19 თებერვალს დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე რესპუბლიკურ პარტიას დაუპირისპირდა.**

სანამ მინისტრის მოადგილე განცხადებას გააკეთებდა, საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია გამოქვეყნდა.

ჟურნალისტ გელა ზედელაშვილის ცნობით, თინა ხიდაშელი შევიდა პრემიერთან და ულტიმატუმი წაუყენა, ან სანდრო ბრეგაძე გაუშვით, ან ჩვენ წავალთო.

რესპუბლიკელები და ბრეგაძე ერთმანეთის მიმართ დიდი სიმპათიებით არასდროს გამოირჩეოდნენ. მათ შორის დაპირისპირება ერთსქესიანთა ქორწინების შესაძლო დაკანონების საკითხმა გამოიწვია.

სანდრო ბრეგაძე ამ თემაზე რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს და რეფერენდუმისთვის საჭირო 200.000 ხელმოწერის შეგროვება დაიწყო. მინისტრის მოადგილის მტკიცებით, რესპუბლიკელები იმიტომ გადაეკიდნენ რომ პატრიარქს დაუჭირა მხარი.

— არაერთხელ მითქვამს — წყალსაც წაუღია ყველა თანამდებობა, როდესაც მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს ეხება საქმე. დიახ, სწორედ რესპუბლიკელები აფერხებენ საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომლებიც კრძალავს ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. დიახ!!! სწორედ რესპუბლიკელები და მთავრობის ზოგიერთი წევრი ითხოვდა ჩემს გადადგომას იმის გამო, რომ ეკლესია და პატრიარქი დავიცავი, — წერს ბრეგაძე ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.




თოფაძის მსგავსად, ის საგარეჯოს არჩევნების თემასაც ეხმიანება და ამტკიცებს, რომ იქ რესპუბლიკელებმა დანაშაული ჩაიდინეს.

— დიახ! სწორედ რესპუბლიკელებმა გააყალბეს არჩევნები საგარეჯოში. დიახ!!! გაჩუმება არ შეიძლება და ვინც გაჩუმდება, ის მათზე უარესი იქნება, — ამბობს მინისტრის ყოფილი მოადგილე.

მისი მტკიცებით, რესპუბლიკურ პარტიას ვერც პარლამენტში იტანენ და ვერც მთავრობაში. ის ამ ადამიანებს ხმის ამოღებისკენ მოუწოდებს.

— მინდა მივმართო იმ დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს, რომლებიც ჩემთან პირად საუბრებში აცხადებდნენ, რომ რესპუბლიკელები ღუპავენ ქვეყანას! ხმა ამოიღეთ! რესპუბლიკელები არიან ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ძალა და დროა, ყველამ ხმა ამოვიღოთ ამაზე.

ამაზრზენი საყურებელია, თუ როგორ ყვავ-ყორნებივით დაესივნენ ბატონ გოგი თოფაძეს თავისივე კოალიციის წევრები. არადა, რა თქვა მან ტყუილი? არაფერი, თითქმის ყველაფერი სიმართლე თქვა. ამავე დროს, ერთი რამეცაა აღსანიშნავი — პირად საუბრებში უარესს ამბობთ, პატივცემულო დეპუტატებო და მთავრობის წევრებო რესპუბლიკელებზე და აქ დგახართ და სიცრუეს ამბობთ. დიახ!!! რესპუბლიკელები მთელი თავიანთი არსებობის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიდიოდნენ და ეს უნდა ითქვას, — ამბობს სანდრო ბრეგაძე.

ამ განცხადების შემდეგ სანდრო ბრეგაძემ დიასპორის მინისტრს გადადგომის თხოვნით მიმართა.

გელა დუმბაძემ მისი განცხადება დააკმაყოფილა.

— მე გადავდექი!!! უფრო სწორად, ყველაფერი გააკეთეს, რომ გადავმდგარიყავი, რადგან კატეგორიულად მომთხოვეს ჩემს პრინციპებზე უარის თქმა!!! დიახ!!! ერთსქესიანთა ქორწინება არასოდეს დაკანონდება, ვერც ეკლესიასა და პატრიარქს შეაგინებს ვინმე და ჩვენც ეროვნული სახელმწიფო გვექნება, — წერს სანდრო ბრეგაძე.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნუგზარ მალაღურაძე: „სარევიზიო კომისია მერიის ადმინისტრაციის შემოწმებას გეგმავს“

ნათია ხურცილავა

**თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ მალაღურაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თბილისის მერიაში მომხდარ სკანდალურ ფაქტთან დაკავშირებით აცხადებს, რომ მოკვლევა მიმდინარეობს. დეპუტატი მზადაა, საჭიროების შემთხვევაში სარევიზიო კომისია ჩაერთოს.**



*— ბატონო ნუგზარ, ნაციონალურმა მოძრაობამ დოკუმენტაცია გაასაჯაროვა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ისანი-სამგორის პროკურორის შვილი მერიამ დააფინანსა. მერიაში აღნიშნულ საქმეზე მოკვლევა დაიწყო. შეიძლება, თქვენი კომისიაც ჩაერთოს?*

— კანონი პროკურორის შვილს, დირექტორის შვილს, ზოგადად ასეთ შვილს არ იცნობს. კანონის მიხედვით არსებობს მუხლები, რომელთა მიხედვითაც უნდა ფინანსდებოდნენ ესა თუ ის სტუდენტები, ღონისძიებები თუ ზოგადად დახმარება ეწეოდეს ამა თუ იმ პირს. გარდა ამისა, არსებობს მერიის სარეზერვო ფონდი, რომლის გამოყენებაც ასევე კანონის შესაბამისად ხდება.

ძირითადად სარეზერვო ფონდიდან ხდება დაფინანსება ისეთი ღონისძიებების, რომლებიც ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული. მეორე საკითხია, როგორ ხდება პროცედურულად შემოსული განაცხადების, პროექტების დაკმაყოფილება.

*— საინტერესოა, როგორ ხდება? რა მოხდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რა კრიტერიუმით მიიღო დაფინანსება ამ სტუდენტმა?*

— მე ამ წუთში ვერაფერს გეტყვით. როგორც უკვე საზოგადოებისთვის არის ცნობილი, მერიის აუდიტის სამსახურმა ამ საკითხის შესწავლა დაიწყო. მე აღარ ჩავთვალე საჭიროდ, რომ ამ ეტაპისთვის სარევიზიო კომისია ჩართულიყო.

*— დაუცველთა კატეგორიაში რატომ მოხვდა ეს სტუდენტი?*

— ზეპირად ვერაფერს გეტყვით, რადგან ეს საკითხი მოსაკვლევია. ამის შემდეგ მოხდება განმარტებაც საზოგადოებისთვის, თუ რა მოხდა. ერთ დღეში ყველაფრის მოკვლევა ცოტა რთული საქმეა.

*— პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, თუ დანაშაული გამოიკვეთება?*

— ზედაპირულად რაც ვიცი, იმის მიხედვით კანონმდებლობა დარღვეული არ არის.

*— თქვენი კომისია არ ჩაერთვება?*

— არ გამოვრიცხავ, რომ ჩაერთოს, მაგრამ ერთდროულად ორი მაკონტროლებლის ჩართვის აუცილებლობა არ არის.

ზოგადად ჩვენს გეგმაში არის გათვალისწინებული მერიის ადმინისტრაციის შემოწმება. ამ ფონზე ჩვენ მოვახდენთ ამ დოკუმენტების გადახედვას. თუ საჭიროება მოითხოვს, მე ჩავერთვები. ეს ის საკითხია, რომელიც მოკვლევას საჭიროებს და შემდეგ მოხდება დასკვნების გამოტანაც. ზოგადად ყველაფერი კანონის ფარგლებში უნდა ხდებოდეს.

*— თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, ფინანსდებოდნენ თუ არა სტუდენტები და რა კატეგორიის?*

— ჩვენ გვაქვს პროგრამა და სოციალურად დაუცველ სტუდენტებს ვაფინანსებთ. ჩვენი ხელისუფლების პირობებში სტუდენტებისთვის განკუთვნილი დაფინანსების თანხა გაიზარდა. შეიძლება ადამიანი სოციალურად სულაც არ იყო შეჭირვებული და მას შეეძლო საკუთარი შვილის განათლების დაფინანსება, მაგრამ დღეს შეიძლება ამ ოჯახს გაუჭირდა. ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ამის გამო სწავლა უნდა შეწყვიტოს ახალგაზრდამ და განათლების მიღებაზე თქვას უარი. ეს დაუშვებელია.

*— სტატუს შეჩერებული სტუდენტები აცხადებენ, რომ მათ არაერთგზის მიმართეს მერიას, მაგრამ დაფინანსება ვერ მიიღეს. რატომ?*

— არსებობს გაწერილი წესი, თუ როგორ უნდა მოხდეს სტუდენტების დაფინანსება. გარკვეული ინფორმაცია ამ საკითხზე მოვიკვლიე და აღმოჩნდა, რომ ბევრმა სტუდენტმა რეგისტრაციის ვადა გაუშვა, ვერ მოასწრო, მაგრამ მათ მიეცათ ინფორმაცია, რომ მომავალში ეს ვადები გაითვალისწინონ, რათა ხარვეზი არ მოხდეს.

*— დავალიანების შედეგად სტატუს შეჩერებული სტუდენტების საკითხი ძალიან სენსიტიურია. ხელისუფლების მიდგომა როგორი უნდა იყოს?*

— ქვეყანაში განათლების იმდენად დიდი პრობლემა გვაქვს, რომ მე მთლიანად მთელ რესურსებს სწორედ განათლებისკენ მივმართავდი, მაგრამ სახელმწიფომ ამ ეტაპისთვის რაც შეძლო, ეს არის. როგორც იცით, არსებობს საერთოდ უფასო ფაკულტეტებიც, გადავადებაც და ა.შ.

*— ფიქრობთ თუ არა, რომ მერიამ შეცდომა დაუშვა და ამ შემთხვევაში ნაციონალურმა მოძრაობამ ეს გამოიყენა?*

— ლაპარაკს ჩვენ ვერავის ავუკრძალავთ. ჩვენ ვცხოვრობთ თავისუფალ ქვეყანაში და დემოკრატიული გარემოში. ვისაც რა უნდა, იმას ილაპარაკებს. სხვა საკითხია, ობიექტურად საუბრობენ თუ არაობიექტურად.

# პროკურორმა გერგედავამ ფული დააბრუნა

## მერია: „ნარმანია შეაცდინეს“

შორენა მარსაგიშვილი

**დავით ნარმანიამ ხელისუფლება მორიგ სკანდალში გახვია. მის მიერ ისანი-სამგორის პროკურორის შვილის დაფინანსებამ დედაქალაქის საკრებულოს წევრებსაც გაუჩინა კითხვები.**

საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის, ალეკო ელისაშვილის განცხადებით, მერმა პასუხი უნდა აგოს.

ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარის ზაზა ვეკუას განცხადებით, ჩნდება ეჭვი, რომ ეს არის პოლიტიკური კორუფცია.

ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები თანამდებობის დატოვებისკენ ისანი-სამგორის პროკურორსაც მოუწოდებენ. პროკურორმა თანამდებობა არ დატოვა, სამაგიეროდ, განმარტებები გააკეთა და ბიუჯეტს 5.400 ლარი დაუბრუნა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში გერგედავამ განაცხადა, ამ თანხის დასაბრუნებლად მან ბანკიდან სესხი გამოიტანა.

— ჩემმა შვილმა თამარ გერგედავამ წარმატებით ჩააბარა გამოცდები „სორბონას უნივერსიტეტში“ ინგლისურენოვან ფაკულტეტზე. რადგან აღნიშნულ ფაკულტეტზე სწავლა არ ფინანსდებოდა უნივერსიტეტის მიერ და დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ჩემი ოჯახი კი ვერ შესწვდებოდა საფასურის გადახდას, სასწავლებლად ვერ წავიდა. 2015 წლის ივლისში თამარმა იმავე უნივერსიტეტში ფრანგულენოვან ფაკულტეტზე ჩააბარა, რაც გაცილებით ნაკლებ ხარჯებთან იყო დაკავშირებული ფრანგულენოვანი პროგრამის გამო, — განმარტავს პროკურორი.

გერგედავას თქმით. მისი შვილი პროფესიით იურისტია



საკრებულოს უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თედო კობახიძე მიიჩნევს, რომ პროკურორის შვილის დაფინანსება დანაშაული არ არის, თუმცა ეს გადაწყვეტილება მორალთან მწყრალად არის.

— არის სამართლებრივი და მორალური მხარე, სამართლებრივი კუთხით აქ შეიძლება ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავდეთ, თუმცა მორალური კუთხით ბატონი მერი ან პრესცენტრი გააკეთებს განცხადებას. თუ დოკუმენტში საუბარია, რომ ესა თუ ის პირი არის სოციალურად დაუცველი და დგინდება, რომ ასე არ არის, აქ კითხვის ნიშნებია, — აღნიშნა თედო კობახიძემ.

ნაციონალური მოძრაობა კი მერის გადადგომას ითხოვს, თედო კობახიძე განმარტავს, რომ რა ინფორმაციაც დღემდე არსებობს, ეს არ შეიძლება მერის გადადგომის საბა-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# გურამ ვახტანგაშვილი: „ლიახვის ხეობაში არც ერთი ქართველი აღარ ცხოვრობს“

გულიკო ბალაძე

**საქართველოში ჰააგის პროკურორთა ჯგუფია ჩამოსული, რომელიც ცხინვალის რეგიონში 2008 წელს მომხდარ დანაშაულებს იძიებს. რას უნდა ველოდოთ გამოძიებისგან, ამის შესახებ „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი ესაუბრება.**

*— ბატონო გურამ, საქართველოში ჩამოსულია ჰააგის პროკურატურის გამომძიებელთა ჯგუფი ცხინვალის რეგიონში მომხდარი დანაშაულების გამოსაძიებლად. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?*

— ძალიან დადებითი. თუ გამოძიება ნორმალურად ჩატარდება, ძალიან კარგი იქნება.

*— არ გაქვთ იმედი, რომ გამოძიება ობიექტურად ჩატარდება?*

— იმედი მაქვს, რომ გამოძიება ობიექტურად ჩატარდება, რატომ არ უნდა ჩატარდეს გამოძიება ობიექტურად? ცხინვალელები არ მიაწვდიან ინფორმაციას. რუსებმა კი განაცხადეს, არ ვითანამშრომლებთო. სხვა არავითარი პრობლემა არ უნდა იყოს.

*— ცხინვალის რეგიონიდან გამოძევებულ და დაზარალებულ პირებს აქვთ შეტანილი საჩივრები. თქვენ და თქვენს ოჯახსაც ხომ არ გაქვთ შეტანილი საჩივარი?*

— მე თვითონ იმ მომენტში მორალურად ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, ვერ შევიტანე საჩივარი, თუმცა რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მამაჩემი და ჩემი ძმის ოჯახი დაკითხეს.

2008 წელს ომის დროს მამაჩემი დარჩა, რომ წამოვედით, არ წამოგვყვა. შემდეგ წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა გამოიყვანეს. მამაჩემი შემსწრეა სახლების გადაწვისა და საქონლის წართმევისა.

*— თქვენს სოფელში ახლა რომელიმე სახლი მთელი არის?*

— არა. გადაწვეს ის 21 სოფელი, რომლებიც დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში იყო. ამას პლუს ორი სოფელი ფრონეს ხეობაში — ავნევი და ნული.

დანგრეულ სოფლებში ააშენეს ქვის სამტვრევები. დანგრეული სახლის ქვები დაამტვრიეს. ახალგორის გზას რომ აკეთებდნენ (ერედვზე გადის), იქ დაყარეს. აბსოლუტურად არცერთი შენობა არ დგას. გამგეობების შენობები, რომლებიც იყო, ცოტა შეარემონტეს რაღაც ბიზნესისთვის.

*— ნასახლარებიც აღარ. არის. დანგრეული სახლებიც აღარ დატოვეს?*

— აბსოლუტურად არაფერი აღარ არის. ეს ძალიან კარგად ჩანს, „გუგლში“ თუ შეხვალთ, კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოებს ნახავთ. კარგად ჩანს გზა, დანგრეული სახლები. არცერთ სახლს სახურავი არ აქვს. მთელი ეს სოფლები კარგად არის გადაღებული.

*— თქვენი სოფლიდან რამდენი ადამიანი დაიღუპა?*

— ჩვენი სოფლებიდან 50 კაცამდე დაიღუპა.

*— როცა სახლს წვავდნენ და საქონელი მიჰყავდათ, მამათქვენი როგორ გადაურჩა მათ?*

— მამა მათ პირდაპირ შეეჩეხა. რუსის სამხედროებმაც დაიჭირეს, მაგრამ არაფერი ავნეს. მამაჩემი ამბობს, პურიც კი მაჭამესო. რუსის ჯარი გორიდან აქეთ რომ წამოვიდა, მტკვრის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროზე ცხინვალამდე სოფლებში — ხეიშში, აჩაბეთში, თამარაშენში, ქურთაში — ლიახვის მარცხენა და მარცხენა მხარეს სოფლებს არაფორმალები შეესივნენ.

ლიახვის მარცხენა მხარეს სოფლებში — ერგნეთში, მეღვრეკისში, ტყვიავში, კარალეთსა და სხვა — შემოვიდნენ ე.წ. არაფორმალი ოსები და კაზაკები. მათ გადაწვეს ყველა სახლი.

მდინარის მარჯვენა სანაპიროზე — ნიქოზში, შინდისში, ტყვენისსა და სხვა სოფლების მხარეს წამოვიდა არაფორმალი ჩეჩნებისა და ოსების ჯგუფი. ოსებმა ამ სოფლებიდან ერთადერთი სახლი გადაწვეს ნიქოზში, შემდეგ კი ჩეჩნებმა უთხრეს ოსებს, რაც გინდათ გაზიდეთ, სახლებს კი ნუ გადაწვავთო. პატარა და დიდი ლიახვის ხეობაში კაზაკები და ოსები ერთმანეთს ასწრებდნენ სახლების გადაწვას.

*— მიზანი იყო...*

— მათი მიზანი იყო, ქართველთა საცხოვრებელი, საძირკველი და ფუძე მოშლილიყო, ისე განადგურებულიყო სოფლები, რომ ქართველს იქ დაბრუნებაზე აღარ ეფიქრა. ჩვენ მხარეს აბსოლუტურად არცერთი შენობა აღარ არის. 23 სოფლიდან არცერთი სახლი არ არის გადარჩენილი.

*— ძალიან სამწუხაროა. ცოტა ხნის წინ საakaშვილმა განაცხადა, ჩვენ გამოძიებას ყველა დოკუმენტი გადავეცითო.*

— ტალიავინის კომისიას?

*— ალბათ. ყოველ შემთხვევაში, ტალიავინის კომისიის დასკვნაში ჩვენ სასარგებლოდ არ არის შეფასებული. დასკვნა, რომელიც ჰააგის პროკურორების ხელშია, პირდაპირ იმით იწყება, რომ ომი დაიწყო საქართველოს მხრიდან ცხინვალის მასირებული დაბომბვით.*

— ვიცი, დასკვნა წაკითხული მაქვს და არ მომწონს, თუმცა ჩვენი პლუსი ისაა, რომ ცხინვალის რეგიონში მოხდა ქართველთა ეთნოწმენდა. ომი ჩვენს ტერიტორიაზე იყო, რუსი კი ოკუპანტია. ჩვენ ხომ არ შევიჭერით რუსეთის ტერიტორიაზე და კრასნოდარის მხარე ხომ არ გადავწვით. მილიონი პროცენტით ჩვენ მართალი ვართ.



ცხინვალის რეგიონში ქართველთა აბსოლუტური ეთნოწმენდა მოხდა. ჩვენს ხეობებში არცერთი ქართველი აღარ ცხოვრობს. როგორც უნდა გაშიფრო, ეს არის ეთნოწმენდა. თავისი სახლ-კარიდან გამორეკეს ძირძველი ქართველი მოსახლეობა.

*— ცხინვალში პროკურორმა სისხლის სამართლის საქმე აღძრაო. თითქოს 400 თუ 500 განცხადებაა შესული და გამოძიება დაიწყო. საერთოდ, ცხინვალიდან ინფორმაციები თუ მოგდით?*

— ინფორმაცია მაქვს, რომ ნორმალურად ცხოვრობენ, რუსულ პენსიას იღებენ, თითქმის მთელი მოსახლეობა დასაქმებულია. საქმის აღძვრა არავითარი პრობლემა არ არის. 400-500 კაცს თავისუფლად ნახავენ და განცხადებას დააწერინებენ ომის ამბავზე. ეგ რა პრობლემაა, მით უმეტეს, ცხინვალი პატარაა. ხელმძღვანელი რასაც იტყვის, ყველა იმას ემორჩილება. ისე არაა, როგორც ჩვენთან. დემოკრატია არის და ზოგიერთი არასამთავრობო თავს გავიდა — ოღონდ გრანტის მიმცემებსა და დამფინანსებლებს მოაწონონ თავი, ქართველობასა და ეროვნულობას არად დაგიდევენ, თანაც ცხინვალი არაფრის გამკეთებელია, მოსკოვიდან რასაც ეუბნებიან, იმას აკეთებენ.

# შოთა მალაშხია: „კოალიციიდან რესპუბლიკელებსაც გაუშვებენ და მრეწველებსაც“

## „სუბიექტები საგარეო ორიენტაციის მიხედვით დალაგდებიან“



მარიამ მჭედლიშვილი

**ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე „ახალ თაობას" პარლამენტის უმცირესობის დეპუტატი, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერი შოთა მალაშხია ესაუბრა.**

***— არაერთხელ გითქვამთ, რომ ქვეყანაში ყველაფერს ერთი კაცი წყვეტს. თქვენი აზრით, მმართველ კოალიციაში მიმდინარე პროცესებსაც ბიძინა ივანიშვილი მართავს? ძნელი დასაჯერებელია, რომ რესპუბლიკელებსა და მრეწველებს შორის არსებული დავა მისი ინსპირირებული იყოს..***

— შემიძლია გავიმეორო, რომ ქვეყანაში გადაწყვეტილებებს ერთი პირი იღებს. ეს ბოლოდროინდელმა მოვლენებმაც დაადასტურა. ვგულისხმობ ციხისძირიდან დიდი ხეების გადმორგვასთან დაკავშირებულ მოვლენებს.

ჯერ იყო და, ივანიშვილის გადაწყვეტილებით, ხეების ამოთხრა-გადმოტანა დაიწყო. ამაში ჩაერთო მისი მომსახურების ბიუროს უწყებების ნაწილი — პროკურატურა, პარლამენტი, აჭარის უზენაესი საბჭო. მერე ივანიშვილმა ბრძანა, პროცესი გააჩერეთო და ყველა გაჩერდა. კოალიციაში რაც ხდება, იმაშიც ის მონაწილეობს.

***— რესპუბლიკელებისა და მრეწველების კონფლიქტი რისთვისაა საჭირო?***

— დაძაბულობის შექმნით ივანიშვილი მართავს სიტუაციას. ეს კონფლიქტი ხელოვნურადაც ღვივდება. ახალი რა აღმოაჩინეს მხარეებმა? რა, აქამდე არ იყო ცნობილი, რომ მრეწველები პრორუსულები იყვნენ და რესპუბლიკელები — მოჩვენებითად პროდასავლურები?

***— საგარეო ორიენტაცია ახსენეთ და, რესპუბლიკელები აცხადებენ, რომ მრეწველები ჩაერთნენ თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის საწინააღმდეგო კამპანიაში, რომელიც რუსეთიდან იმართება.***

### „ქართული ოცნების“ სახადი უკვე მოვიხადეთ“

— ამას გამოვრიცხავ. წარმოუდგენელია, რომ რუსეთი ორგანიზებას უკეთებდეს საქართველოს თავდაცვის მინისტრის საწინააღმდეგო კამპანიას და მრეწველები ამის გამო უპირისპირდებოდნენ რესპუბლიკელებს. ეს უფრო „ქართული ოცნების“ შიდა კინკლაობაა. ეს კოალიცია ივანიშვილის ფულმა გააერთიანა. დღეს მან დრო მოჭამა. „ქართული ოცნების“ რეიტინგი 15-20%-ია. შიგნით კონკურენციაცაა, ყველას უნდა, ამ გამსვლელ პროცენტში მოხვდეს. ამის გამო დაძაბულობა იზრდება. თითოეულ მხარეს უნდა, თვითონ გაინაღდოს კვოტა მომავალ პარლამენტში, სხვა კი გააძევოს.

***— რით შეიძლება დასრულდეს ეს სიტუაცია?***

— მოსალოდნელია, რომ კოალიცია რესპუბლიკელებსაც დაატოვებინონ და მრეწველებსაც. ამისკენ ამ პარტიებს თამაზ მეჭიაურმაც მოუწოდა. მეჭიაური ივანიშვილის რუპორია. საერთოდაც, არავის აქვს გარანტირებული „ქართულ ოცნებაში“ ყოფნა. პრაქტიკულად, გარანტიები მხოლოდ მეჭიაურს აქვს.

***— თუ რესპუბლიკელები და მრეწველები კოალიციის გარეთ აღმოჩნდებიან, შეძლებენ ისინი პოლიტიკური ცენტრების, გაერთიანებების შექმნას?***

— ვერც ერთი და ვერც მეორე პარტია მიზიდულობის ცენტრს ვერ შექმნის. რესპუბლიკური პარტიის რეიტინგი 4%-ზე მეტი არ არის. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა აქვთ მრეწველებს. ეს საიდუმლო არ არის. ივანიშვილი ინტრიგებში გამოცდილია და იცის, საით წაიყვანოს მოვლენები.

***— საგარეო ორიენტაციის ნიშნით თუ დალაგდებიან სუბიექტები საარჩევნოდ?***

— ალბათ, სწორედ საგარეო ორიენტაციის ნიშნით მოხდება დაჯგუფებები. ამ შემთხვევაში „ოცნება“, ბურჯანაძე და ინაშვილი ერთად იქნებიან და პრორუსულ ნიშას დაიკავებენ. შესაძლოა, მათთან აღმოჩნდნენ ის პარტიებიც, რომლებიც საგარეო კურსს არ ეხებიან და მხოლოდ სოციალურ საკითხებზე გამოდიან. ქრისტიან-კონსერვატიული პარტია და ნაციონალური მოძრაობა ისევ დავიჭერთ პროდასავლურ ნიშას.

***— ბურჭულაძე და ჩერნოვეცკი რა ადგილს დაიკავებენ?***

— ვერც ერთი მათგანი მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ვერაფერს გახდება. პოლიტიკა ჭადრაკზე უფრო რთულია. ვიღაცებს პოლიტიკოსობა ადვილი ჰგონიათ, მაგრამ ეს ასე არაა. რაიმეს რომ მიაღწიო, ძალიან დიდხანს უნდა იყო პოლიტიკაში.

***— არის პროგნოზები წინასაარჩევნოდ საქართველოში ქაოსის გამოწვევის თაობაზე.***

— ჩვენ ამას არ დავუშვებთ. როგორმე არჩევნებამდე უნდა მივიდეთ. ზოგადად, არეულობა საქართველოში შედის რუსეთის ინტერესებში, მაგრამ რუსეთს ახლა უამრავი პრობლემა აქვს. 2012 წელს სხვა სიტუაცია იყო. ახლა რუსეთს აღარ აქვს იმის თავი, რომ აქ ქაოსი გამოიწვიოს. თუ არჩევნები გაყალბდა, ამას გავაპროტესტებთ, თუმცა ეს სერიოზული დაპირისპირების სახეს არ მიიღებს. „ოცნების“ მიმართ ნდობამ იმდენად დაიკლო, რომ მისი დამცველი კაციშვილი არ მეგულება.

***— დიდია საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც არავის უჭერს მხარს.***

— ვფიქრობ, არჩევნების დღეს ბევრი ადამიანი დაძლევს ნიჰილიზმს და არჩევნებზე მოვა. „ოცნება“ ველარ იქნება უმრავლესობაში. ჩვენ ეს სახადი უკვე მოვიხადეთ.

# დარჩება თუ არა ეროვნული ფორუმი კოალიციაში?

## ანი მიროტაძე: „ფორუმი გადაწყვეტილებას მარტის ბოლოს გამოიტანს“

ნონა ცაბაძე

**კოალიციის შიგნით სიტუაცია სულ უფრო იძაბება. რესპუბლიკელების და მრეწველების დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. დაპირისპირება პარტიულ ჩარჩოებს გასცდა და მთავრობის სხდომაზე საკითხს პრემიერ-მინისტრიც გამოეხმაურა.**

გავრცელებული ინფორმაციით, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე, მრეწველები კოალიციაში აღარ იქნებიან. ასევე აქტიურად მიდის საუბარი, რომ კოალიციაში აღარც ეროვნული ფორუმი იქნება. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ უმრავლესობის ერთ-ერთ წევრს, ანი მიროტაძეს ესაუბრა.

***— ანი, საზოგადოება ხედავს თუ როგორი დაძაბულობაა კოალიციაში. არჩევნების წინ რამდენად მომგებიანია პარტიებს შორის ასეთი დაპირისპირება?***

— რესპუბლიკელების და მრეწველების ბოლოდროინდელ დაპირისპირებას თუ გულისხმობთ, ძალიან ვერიდები ამ თემაზე კომენტარების კეთებას. ეს ჩემი მხრიდან არაკორექტული იქნება.

***— რატომ იქნება არაკორექტული? სიტუაცია ისე გამწვავდა, რომ საქმეში პრემიერ-მინისტრიც ჩაერია.***

— გასაგებია. თუმცა ვინც არ უნდა ჩაერიოს, მაინც არაკორექტული იქნება. როდესაც ორი პარტიის წარმომადგენლები ერთმანეთთან არკვევენ საქმეს, იმის მიუხედავად, რომ ისინი არიან კოალიციაში შემავალი სუბიექტები, უმჯობესი იქნება, მათ შორის მოგვარდეს, თუ რაიმე კითხვის ნიშნები არსებობს.

***— საუბარია, რომ ეს გასცდა ორი პარტიის ურთიერთობებს და ეს მთელ კოალიციას აზარალებს. ასე არ არის?***

— ყველა შემთხვევაში ეს არის თემა, რომელიც ბუნებრივია და ლოგიკურია, რომ არის საზოგადოების აქტიური ყურადღების ცენტრში, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი არიან კოალიციის შემადგენელი სუბიექტები. ყველაზე უმჯობესი იყო, ალბათ უმრავლესობის ფორმატში მაინც დასმულიყო ეს საკითხები, შიგნით განხილულიყო და ასე საჯაროდ არ ყოფილიყო გამოტანილი.

***— მოახერხებენ სიტუაციის ნორმალიზებას?***



— ორივე პოლიტიკურ პარტიას უნდა ჰქონდეს საკუთარ თავში რესურსი, რომ როგორმე მოახერხონ და პოზიციები ერთმანეთში გაარკვიონ. იმაში გეთანხმებით, რომ ასეთი გაურკვევლობა კოალიციას აზარალებს მოახლოებული არჩევნების ფონზე. თუმცა აქვე იმასაც გეტყვით, რომ ეს კოალიცია არის შექმნილი 2016 წლის ოქტომბრამდე.

***— მხოლოდ ოქტომბრამდე?***

— ყველამ კარგად იცით, რომ 2012 წელს ერთი კონკრეტული მიზნისთვის გავერთიანდით და ვთქვით, რომ ჩვენ ვცვლით არსებულ მოცემულობას, ვთანხმდებით ერთი მიზნისთვის. მაშინ ეს მიზანი იყო სააკაშვილის რეჟიმის გაშვება და ეს არის შესრულებული. ეს არის ჩვენი ვალდებულება, რომ ვადა მივიყვანოთ ბოლომდე. იმის იქით, არჩევნებში ვინ როგორ წავა, ეს უკვე თითოეული პოლიტიკური ძალის გადასაწყვეტია.

***— რა იქნება მერე? საუბარია, რომ კოალიციაში შემავალი პარტიების ნაწილი აღარ იქნება კოალიციაში. ასეა?***

— ეროვნულ ფორუმთან დაკავშირებით იქნება ის, რასაც გადაწყვეტს რიგგარეშე ყრილობა, რომელიც გაიმართება მარტის ბოლომდე. იმის მიუხედავად, ვინ ვისთან რას არკვევს, ჩვენ უკვე დიდი ხანია, საკუთარი ძალების დათვალიერება დავიწყეთ, გადავხედეთ, რით მივდივართ არჩევნებზე, ვმართავთ კონფერენციებს საქართველოს მასშტაბით.

***— ანუ დამოუკიდებლად აპირებთ ძალების მოსინჯვას?***

— არა. ამის შემდგომ, როდესაც კონფერენციები დასრულდება, ჩვენ გვექნება რიგგარეშე ყრილობა და ეს ყრილობა გადაწყვეტს, რას იზამს ეროვნული ფორუმი. საკითხი, რას ვაპირებთ, მივდივართ კოალიციასთან ერთად არჩევნებში, გვაქვს სხვა მოსაზრება თუ ასე შემდეგ, დაისმება. ეროვნულ ფორუმს ჰყავს ლიდერები და გადაწყვეტილებას ჩვენ ყველა ერთად მივიღებთ.

***— თუმცა კულუარულად ვრცელდება ინფორმაციები, რომ ეროვნული ფორუმის ლიდერებსა და ხელისუფლების პირველ პირებს შორის სიტუაცია დაძაბულია. ასეა?***

— არა. მსგავსი პიროვნული დაძაბულობა არ არსებობს. ვის გულისხმობთ? გიორგი კვირიკაშვილს თუ გულისხმობთ, არა, ბიძინა ივანიშვილს თუ გულისხმობთ, არა, არავისთან დაპირისპირება არ გვქონია არაფერზე. ჩვენი ვალდებულებები, რაც დაკავშირებული იყო მმართველობაში მაქსიმალური კომფორტის შექმნასთან, ჩვენ შევასრულეთ და პრობლემები არ შეგვიქმნია. ის, თუ რა სახის გადაწყვეტილებას მივიღებთ, დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად დაემთხვევა ეროვნული ფორუმის ხედვები სტრატეგიულ საკითხებთან დაკავშირებით.

***— რა იგულისხმება სტრატეგიულ საკითხებში?***

— თუნდაც ქვეყნის კურსი, ეროვნული საკითხები, უსაფრთხოება, როგორი მოწყობა იქნება ქვეყანაში, რამდენად დაცული იქნება დემოკრატიული საკითხები, სასამართლო სისტემა როგორი იქნება და ასე შემდეგ. ჩემგან ვერ იქნება მხარდაჭერილი და მისაღები, თუ ისეთი პროცესები უნდა განვითარდეს სასამართლო სისტემაში, როგორიც არის მურუსიძის და მისნაირების მხარდაჭერა. ამას არც ერთი ფორუმელი მხარს არ დაუჭერს.

ჩემთვის ასევე პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში იყოს დამოუკიდებელი მედია. თუ ვინმე ამის ხელის შეხებას გადაწყვეტს, მე ვერ ვიქნები მისი თანამოაზრე. ჩვენ ნამდვილად არ გვცალია, რომ ვიღაცასთან პიროვნულ დაპირისპირებაზე ვიფიქროთ.

***— მარტის ბოლოსთვის სიტუაცია უკვე დალაგებული და ჩამოყალიბებული იქნება?***

— მარტის ბოლოს ჩვენ გვექნება ყრილობა და ეს ყრილობა გასცემს იმ კითხვაზე პასუხს, რომელიც თქვენ გაინტერესებთ და საზოგადოებასაც.

***— საუბარია, რომ შექმნილ სიტუაციაში მთავარ ინტრიგად რჩება საარჩევნო სია, ვინ იქნება ამ სიაში და ვინ არა.***

— თუ ვინმე სეპარატისტულად კულუარებში ვინმეს ხვდება და რაღაცებს ალაგებს, ეს არის მიუღებელი, მე არ მომწონს! ამის შესახებ მე არაფერი არ მსმენია. არ ვიცი, კულუარებში რა ხდება. კოალიციაში კი არანაირ ერთიან სიაზე ლაპარაკი არ მიმდინარეობს. რომელი პოლიტიკური პარტია თავის შიგნით ვის მოიაზრებს, ეს ყველას შიდა პარტიული საქმეა. ვინც კონკრეტულ გვარებს ასახელებს, ის უბრალოდ მანიპულირებს ამ გვარებით!

***— თუმცა ჩვენ ასევე გვესმის შეფასებები, რომ სიას ერთპიროვნულად ადგენს ბიძინა ივანიშვილი. თქვენ გაქვთ ინფორმაცია, ივანიშვილს აქვს თუ არა სიის მონახაზი?***

— არა, ასე არ იყო არც 2012 წლის არჩევნებში. ჩვენ კოალიცია შევქმენით, ჩვენ ვიცოდით ჩვენი კვოტები და ჩვენი სიები შევქმენით ჩვენ თვითონ. ბიძინა ივანიშვილი სხვა პარტიების სიების შედგენაში არ ჩარეულა. ახლა „ქართული ოცნების“ სიის ფორმირებაში თუ ჩაერევა, ეს არის მათი შიდა პარტიული საკითხი.

***— ექსპერტები საუბრობენ, რომ „ოცნება“ აგვიანებს ამ პროცესს, სიები უკვე ცნობილი უნდა იყოსო. რატომ აგვიანებთ?***

— რატომ გვიანდება?! სხვა პოლიტიკურ პარტიებს მზად აქვთ სიები? თუ სხვისთვის არ გვიანდება, ჩვენთვის რატომ გვიანდება?! ნამდვილად არ გვიანდება. დღეს საზოგადოებისთვის ის უფრო საინტერესო უნდა იყოს, როგორი ხედვით, რა პროგრამით გამოდის თითოეული პარტია ან ხელისუფლება, ვიდრე ის, ანი მიროტაძე რომელი ნომერი იქნება სიაში.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83




# ირანული გაზის ხარისხი მაღალია, მაგრამ ფასიც უფრო მეტია

ირანთან უვიზო რეჟიმის აღდგენამ თბილისსა და თეირანს შორის ურთიერთობა ერთბაშად დაათბო და გამოაცოცხლა.

განსაკუთრებით ნაყოფიერი ირანის ენერგეტიკის მინისტრ ჰამიდ ჩიჩიანის და კახი კალაძის შეხვედრა აღმოჩნდა. ამ შეხვედრის შემდეგ გახმაურდა, რომ თეირანი და თბილისი საქართველოსთვის 200 მილიონი კუბური მეტრი ირანული გაზის მიწოდების შესახებ მოლაპარაკებებს აწარმოებენ.

პირველი კონტრაქტი შვიდ თვეზე გაფორმდება, თუმცა, საქართველომ სომხეთისგან მისი ტერიტორიის გავლით გაზის ტრანზიტზე ლიცენზია უნდა მიიღოს.

ირანულ მედიაში ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ირანი საქართველოში ჰიდროელექტროსადგურებსაც ააშენებს.

ირანის ენერგეტიკის მინისტრის თქმით, 2015 წლის ივნისში ირანი და სომხეთი უკვე შეთანხმდნენ ელექტროგადამცემის მესამე ხაზის მშენებლობაზე და ამ ხაზის გამოყენება საქართველოსთვის ელექტროენერგიის მისაწოდებლად შეიძლება, თუმცა საქართველოსთვის ელექტროენერგიის მიწოდება აზერბაიჯანის გავლითაც არის შესაძლებელი.

---

ირანთან ურთიერთობის აღდგენას ქართველი ექსპერტები და ენერგეტიკოსები დადებით მოვლენად მიიჩნევენ, მათი აზრით, ორივე ქვეყნის ეკონომიკა მოიგებს.

ამ თვალსაზრისს იზიარებს ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ ჭითანავა.

– ირანი არის მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა, რომელსაც ძალიან ძვირი საბადოები აქვს. გაზის მოწოდების საკითხიც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი, ასევე ირანის ეკონომიკისთვის, რადგან ირანს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ენერგეტიკის სფეროში, მათ შორის, ჰიდროენერგეტიკაშიც, – აღნიშნავს ანზორ ჭითანავა.

ანზორ ჭითანავას თქმით, 200 მილიონი კუბური მეტრი დიდი მოცულობა არ არის, რადგან საქართველო 2 მილიარდამდე კუბომეტრ გაზს მოიხმარს და ეს მისი საჭიროების მხოლოდ 10 პროცენტია.

– საბჭოთა პერიოდში საქართველოს 6-7 მილიარდი კუბომეტრი გაზი სჭირდებოდა, ახლა ძლივს ავედით 2 მილიარდზე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ეკონომიკა ჩამორჩენილია, წარმოებები არ მუშაობს და უფრო ნაკლები ბუნებრივი აირი გვჭირდება, მაგრამ მომავალზეც ხომ უნდა ვიფიქროთ? სასურველია უფრო მეტი გარანტია გვქონდეს იმისა, რომ ეს მოცულობა კიდევ უფრო გაიზრდება და საქართველოში ირანული გაზის წილი მოიმატებს. თანაც, ირანული გაზი თავისი კალორიულობით თუ სხვა მახასიათებლებით გაცილებით უკეთესია, ვიდრე აზერბაიჯანული, აცხადებს ანზორ ჭითანავა.

რატომ სომხეთის გავლით და არა – აზერბაიჯანის?

ჭითანავა ამბობს, რომ სომხეთის გზა უმოკლესია,

– ეს ტრასა არსებობს და რატომ არ უნდა გამოვიყენოთ? არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო აზერბაიჯანელები გაგვინაწყენდნენ, რადგან აზერბაიჯანი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ ჩვენ სომხეთთანაც არ უნდა გვქონდეს დაძაბული ურთიერთობა. ახლა ჩვენ რომ გავჯიქდეთ და ვთქვათ, რომ სომხეთისკენ რუსულ გაზს არ გავატარებთ, ეს ხომ აბსურდი იქნება?

მიუხედავად იმისა, რომ გაზპრომი პოლიტიკურად ანგაჟირებული სტრუქტურაა, ბიზნესსაქმიანობაში ხელი არ უნდა შევუშალოთ. კარგია, როდესაც ყველა მხარე კმაყოფილია, მაგრამ ასეთი შემთხვევები იშვიათია. ტრასის არჩევა და სომხეთის ტერიტორიაზე გატარება ეკონომიკურად უფრო მიზანშეწონილია და ირანელებმაც ალბათ ამიტომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება, – აცხადებს ანზორ ჭითანავა.

ირანსა და საქართველოს შორის ურთიერთობების მეტად განვითარების მომხრეა ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი.

– ორი გზა არსებობს, რომ ირანული გაზი მოგვეწოდოს – სომხეთის და აზერბაიჯანის მიმართულებით. თუ ირანული გაზი სომხეთის გავლით მოგვეწოდება, ალბათ ამ ურთიერთობაში გაზპრომიც ჩაერთვება, რადგან ის სომხეთის გაზსადენებს თითქმის მთლიანად აკონტროლებს, – აცხადებს ვანო მთვრალაშვილი.

მისი თქმით, სომხეთის გზა მტკივნეულ პოლიტიკურ საკითხებზე გადის. აზერბაიჯანი კი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, ამავე დროს, ბუნებრივი აირის ერთ-ერთი მთავარი მომწოდებელია ჩვენთვის.

– ამ ქვეყნიდანაც შეიძლება ბუნებრივი აირის ტრანსპორტირება, მით უმეტეს, რომ ჩვენ მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის 80-85% სწორედ აზერბაიჯანიდან მოდის. ტექნიკურად ჩვენ ამ ქვეყნიდან ირანული ბუნებრივი აირი უკვე მიღებული გვაქვს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ სასურველია, ირანული გაზი აზერბაიჯანიდან გამოვატაროთ. ისიც საყურადღებოა, რამდენად კონკურენტული იქნება ირანული გაზის ფასი, მისი ხარისხი საკმაოდ მაღალია, მაგრამ ფასიც უფრო მეტია, – აღნიშნავს ვანო მთვრალაშვილი.

მისი თქმით, ირანულ მხარეს წლების განმავლობაში ჰქონდა ინტერესი, რომ საქართველოში მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მიელო მონაწილეობა, მათ შორის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში.

– ირანს ამ სფეროში ძალიან დიდი პრაქტიკა და გამოცდილება აქვს, მას კომპეტენცია და ფინანსებიც ხელს უწყობს, რომ ჰესების მშენებლობა დაიწყოს და ძალზე მნიშვნელოვანია, თუ ირანულ მხარესთან ამ სფეროშიც ვითანამშრომლებთ, – აცხადებს ვანო მთვრალაშვილი.

ირანს სურს, ქართული პორტების შესაძლებლობებიც გამოიყენოს მშრალი ტვირთების ტრანსპორტირებისთვის.

– ირანელებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს სატრანზიტო ფუნქცია, რადგან ისინი ცდილობენ თურქეთზე ნაკლებად იყვნენ დამოკიდებული. დღეს ირანში სწორედ თურქეთის გავლით შედის ტვირთების 90% პროცენტი, ამიტომ მათ სურთ, რომ ალტერნატიული მარშრუტები გამოძებნონ. ერთ-ერთი პერსპექტიული მარშრუტი ირანისთვის სწორედ საქართველოა, – ამბობს ვანო მთვრალაშვილი.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# ბიძინა ივანიშვილმა შვეიცარიულ ბანკთან სამართლებრივი დავა დაიწყო

ბიძინა ივანიშვილმა შვეიცარიულ ბანკ კრედი სუისთან სამართლებრივი დავა დაიწყო მისი საინვესტიციო პორტფელის არასათანადოდ გამოყენების გამო, რამაც მნიშვნელოვანი დანაკარგი გამოიწვია.

ამის შესახებ უოლ სტრიტ ჯორნელი წერს.

გამოცემის ცნობით, საქართველოს ყოფილმა პრემიერმა დაახლოებით 100 მილიონი შვეიცარიული ფრანკის ოდენობის ზარალი განიცადა.

სტატიის თანახმად, გასული წლის დეკემბერში და შემდეგ, მიმდინარე წლის იანვარში, ივანიშვილმა ჟენევის პროკურორს რამდენიმე საჩივრით მიმართა და ბანკის ცუდ მენეჯმენტსა და თაღლითობის ფაქტებზე მიუთითა.

პირველად ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბანკის კერძო ინვესტიციების მმართველის მოქმედებების შედეგად დაზარალებულთა შორის ივანიშვილიც აღმოჩნდა, შვეიცარიულ გამოცემა ლა ტემპსში, მიმდინარე წლის იანვარში გაჩნდა.



გამოცემის თანახმად, ივანიშვილის გარდა მილიონობით ზარალი განიცადა რუსულ გაზპრომთან კავშირში მყოფმა რუსეთის ორმა მოქალაქემაც.

უოლ სტრიტ ჯორნელი წერს, რომ ბანკის ყოფილი მენეჯერი პატრის ლესკოდრონი, რომელსაც მაქინაციებში ადანაშაულებენ, ამჟამად დაკავებულია და ჟენევაში იმყოფება. მისი ადვოკატი საიმონ ნტა აცხადებს, რომ ლესკოდრონს პრობლემები ჯერ კიდევ 2007 წელს დაეწყო, როცა თავის კლიენტებს ერთ-ერთი ავსტრიული ჰოლდინგის აქციები მიჰყიდა. მოგვიანებით, ამ ჰოლდინგის აქციები დაეცა. მაშინ ლესკოდრონმა, კლიენტების ზარალის ანაზღაურების მიზნით, თანხა ბიძინა ივანიშვილის ანგარიშებიდან მოხსნა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ, ფორბსის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილის ქონება 4,8 მილიარდი აშშ დოლარია და ის საქართველოში ყველაზე მდიდარი ადამიანია.

**ბიპიენი**

# პროკურორმა გერგედავამ ფული დააბრუნა

**დასაწყისი მე-4 გვერდზე**

და ვიდრე სორბონას უნივერსიტეტიდან პასუხი მოუვიდოდა, მან ტესტირება გაიარა თბილისის მერიაში.

– 60 ქულიდან 58 ქულა მიიღო და იურიდიულ სამსახურში სპეციალისტად დაინიშნა. რამდენიმე თვის შემდეგ, დადებითი პასუხი მოვიდა უნივერსიტეტიდან და დღის წესრიგში მისი საფრანგეთში გამგზავრება დადგა. ჩემმა ოჯახმა გარკვეული თანხის მობილიზება მოახდინა, ხოლო ნაწილის მოძიებაში კი მისმა სამსახურმა მიიღო მონაწილეობა. თამარმა მე და დედამისს გვითხრა, რომ სამსახური უფინანსებდა საფრანგეთში გამგზავრებისთვის საჭირო თანხის ნაწილს. მე ჩავთვალე, რომ თბილისის მერიას ჰქონდა გარკვეული სახის პროგრამა ან ფონდი, რომელიც თანამშრომლებს განათლების მიღებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში ეხმარებოდა, – ამბობს პროკურორი.

ის ამტკიცებს, რომ სწორედ ამის გამო არ დაინტერესდა, მერია რა ფორმით და რა დოკუმენტაციით მოახდენდა საკუთარი თანამშრომლის დაფინანსებას.

გერგედავა აცხადებს, რომ მცოდნოდა ჩემი შვილის დაფინანსება სოციალურად დაუცველის სტატუსით მოხდებოდა, ამას ნამდვილად არ დავუშვებდი. მისი თქმით, მან შვილის დაფინანსების ამბავი ტელევიზორიდან შეიტყო.

– მას შემდეგ, რაც ჩემთვის ტელევიზიის საშუალებით ცნობილი გახდა, რომ ჩემი შვილი დაფინანსდა სოციალურად დაუცველის სტატუსით და ვინაიდან აღნიშნული სტატუსი არ შეესაბამება სიმართლეს, მივიღე გადაწყვეტილება, ბანკიდან გამოვიტანე სესხი და აღნიშნული თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში უკვე დავაბრუნე, – განაცხადა ლეონიდე გერგედავამ.

მან სახელმწიფო ბიუჯეტში 5.400 ლარის გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითარიც გამოაქვეყნა.

* * *

დედაქალაქის მერიამ 19 თებერვალს პროკურორის შვილის დაფინანსების სკანდალთან დაკავშირებით ახალი განცხადება გაავრცელა,

სადაც ნათქვამია, რომ მოხდა მერის შეცდომაში შეყვანა, მომხდარზე პასუხისმგებლობა კი მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის თანამშრომელს დაეკისრა, რომელიც თანამდებობიდან გათავისუფლდა.

# ციხისძირში 10 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ოფშორულ კომპანიაზე ყალბი დოკუმენტაციის საფუძველზე დარეგისტრირდა

ციხისძირში სამი ხისთვის ადგილმონაცვლეობა საზოგადოების დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი გახდა, თუმცა კანონის თანახმად, შესაძლებელია ამგვარი ოპერაციების ჩატარება.




როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ხე არის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, ზიანდება თუ არ ბუნება? საქმის მესვეურები ირწმუნებიან, რომ მოხდება ტერიტორიის აღდგენა-რეკულტივაცია და თითოეული ხის სანაცვლოდ დაირგვება 10 ახალი ხის ნერგი.

შეგახსენებთ რამდენიმე დღის წინ უფლებადამცველ თამაზ ბაკურიძის განცხადებას:

– ის ტერიტორია, სადაც ახლა „ნაცებს" კარვები უდგას და ვითომდა ხეებს იცავენ, მიხეილ სააკაშვილმა 1 ლარად გაასხვისა დაუდგენელ პირზე. იმ ტერიტორიაზეა საუბარი, რომლის გამო კომპანია არის უფლებამოსილი გაატაროს ტვირთი და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. კერძოდ, შპს „ზიმოს" მიერ შესყიდული ხეების ტრანსპორტირების ერთადერთი შესაძლო მარშრუტი გადის კერძო საკუთრებაზე 90.000 კვ/მ ნაკვეთზე, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მიერ 2011 წლის 3 აგვისტოს გაცემული განკარგულების საფუძველზე, გაურკვეველ, ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანია „REDMAD FEDERATION INC~-ს 1 ლარად გადაეცა.

დოკუმენტებში არ ჩანს არც ამ კომპანიის წარმომადგენელი, არც ხელმომწერი მხარე და საერთოდ არც ერთი საკონტაქტო პირი, ვისთანაც შესაძლოა, რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა დამყარდეს.

* * *

19 თებერვალს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა პროკურატურამ.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ციხისძირში მდებარე მიწის ნაკვეთი, ოფშორულ კომპანიაზე სამართალდამცავი ორგანოების უკანონო ჩართულობით, ყალბი დოკუმენტაციის საფუძველზე დარეგისტრირდა.

პროკურორ არჩილ ტყეშელაშვილის განცხადებით, პროკურატურამ ციხისძირში მდებარე სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე გამოძიება 180-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო.

პროკურორის განცხადებით, გამოძიება 2013 წლის 15 თებერვალს საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან გადმოგზავნილი მასალების საფუძველზე დაიწყო.

– გამოძიების პროცესში არაერთი მოწმე დაიკითხა. ეკონომიკის სამინისტროდან და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია. დადგინდა, რომ ქობულეთში სოფელ ციხისძრში სანაპირო ზოლში მდებარე სახელმწიფოს კუთვნილი 10 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ოფშორულ კომპანია REDMAN FEDERECION INC-ის სახელზე, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამართალდამცავი ორგანოების უკანონო ჩართულობით, ყალბი დოკუმენტაციის საფუძველზე დარეგისტრირდა, – განაცხადა ტყეშელაშვილმა.

პროკურორის თქმით, რეგისტრაცია ოფშორულ კომპანიასა და ეკონომიკის სამინისტროს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე 2011 წლის 5 აგვისტოს განხორციელდა.

– ხელშეკრულების ხელმოწერაზე ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან უფლებამოსილი პირის დაკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ ხელმოწერა მას არ ეკუთვნის და მსგავსი სახის ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია.

ასევე დადგინდა, რომ ეკონომიკის სამინისტროს ხელშეკრულებაზე ხელმოწერის რწმუნებულება არ გაუცია. ამასთან ოფშორული კომპანიის წარმომადგენელი, რომლის ხელმოწერაც ხელშეკრულებაზეა დაფიქსირებული, საერთოდ არ არის საქართველოში ნამყოფი, – განაცხადა ტყეშელაშვილმა.

კითხვაზე, იკვეთება თუ არა საქმეში ყოფილი ჩინოვნიკების ბრალეულობა, პროკურორმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე დეტალების გასაჯაროების უფლება არ აქვს.

# იზა გიგოშვილი 80 წლის გახდებოდა



მსახიობი იზა გიგოშვილი 80 წლის გახდებოდა. მისი იუბილე სამეფო უბნის თეატრში მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნება.

იზა გიგოშვილი რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო, მან დაუვიწყარი როლები შექმნა, თუმცა მის მიერ განსახიერებული პერსონაჟებიდან გრუშე „კავკასიურ ცარცის წრეში“ მსახიობის სავიზიტო ბარათია. მოგვიანებით იუბილარმა ხელოვანმა მეუღლესთან, მერაბ თავაძესთან ერთად, სამეფო უბნის თეატრი დააარსა.

იზა გიგოშვილი 9 აპრილის მოვლენების დროს მოიწამლა, რამაც მისი ჯანმრთელობა სერიოზულად შეარყია. მას სჯეროდა, რომ საქართველო დასჯილია და ამ სასჯელის გამოსასყიდად თბილისიდან იერუსალიმამდე ფეხით ჩავიდა. იზა გიგოშვილს თან ახლდნენ მეუღლე მერაბ თავაძე და შვილი ნიკა თავაძე, რომლებმაც ფილმი „ხვეული კიბით“ გადაიღეს. იზა გიგოშვილი 61 წლის ასაკში გარდაიცვალა.

80 წლის იუბილესთან დაკავშირებით, იზა გიგოშვილი შვილიშვილმა, რეჟისორმა დათა თავაძემ გაიხსენა:

– იზა 80-ის გახდებოდა დღეს. უბრალოებისა და ამავე დროს თეატრისადმი იმხელა ფანატიზმის მაგალითი დაგვიტოვა ყველას, რომ უკან დასახევი არ გვაქვს. შემაძრწუნებელი, საშიში და უკომპრომისო იყო მისი ვნება თეატრისადმი და ეს იმხელა გაკვეთილია, მით უმეტეს, დღეს ამ პრანჭვისა და თითიდან გამოწოვილი „წარმატებული“ პროცესების ფონზე ქართულ თეატრში, რომ არ ვიცი, ოდესმე თუ შევძლებთ ოდნავ მაინც მივუახლოვდეთ მის ყველაზე მცირე ჩანაფიქრებსაც კი, იმდენად თავზეხელაღებული იყო ყველა წამოწყებაში.

სამეფო უბნის თეატრი, როგორც მოვლენა, არის ამის მაგალითი – ნანგრევი, ნაგავსაყრელი, რომელიც თეატრად გადააქცია, რადგან ის იყო ერთადერთი, ვისაც ძალიან კარგად ესმოდა, რომ თვით თეატრი არის ნანგრევი, ბზარები და ნაგავი! ესმოდა, რომ თეატრი იხმობს წარსულს აწმყოში და აფრთხილებს სამომავლოდ და ეს სამივე დრო ერთიანდებოდა ჩვენი თეატრის ყოველ კონცეფციაში დაარსების წამიდან დღემდე! ისე, როგორც არასდროს, ვამაყობ მისით, მისი განხორციელებული და განუხორციელებელი იდეებით! ვამაყობ და მშურს! გილოცავ დაბადების დღეს!

# ქაქუცა ჩოლოყაშვილზე ფილმს გადაიღებენ



საქართველოს ეროვნულ გმირზე ქაქუცა ჩოლოყაშვილზე მხატვრულ ფილმს გადაიღებენ.

ფილმისთვის სცენარი მწერალმა მიხო მოსულიშვილმა დაწერა. ამ სცენარით მან მონაწილეობა მიიღო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსში და გამარჯვებულიც გახდა.

მიხო მოსულიშვილი:

– საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონკურსი გულისხმობდა ისტორიული ფილმების სცენარებს, რაც ერთგვარი სიახლეა, რადგან სიძვირის გამო, აქამდე უარს ვამბობდით ისტორიულ ფილმებზე და ახლა ამაზეც დავიწყეთ ფიქრი...

ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებულ ორ კონკურსში მივიღეთ მონაწილეობა და ორივეში გავიმარჯვეთ. „ქაქუცა“ და „დიდი ძუ დათვი“. ეს ძალიან კარგი კონკურსებია სცენარისტების პროფესიონალიზმის ასამაღლებლად.

ეს კინოცენტრის მიერ გამოცხადებული ორი სხვადასხვა კონკურსია სცენარების განვითარებისთვის, ანუ სცენარები რომ დაიხვეწოს, ამისთვის ამ კონკურსებში გამარჯვებული პროექტებისთვის კინოცენტრი იწვევს უცხოელ ექსპერტებს და მიმდინარეობს ამ სცენარების დახვეწა. შედეგები დაიდება ბოლოს და ყველაზე წარმატებული სცენარი იქცევა ფილმად.

# ქეთა თოფურიამ იმიჯი შეიცვალა



რუსეთში მოღვაწე ქართველმა მომღერალმა ქეთა თოფურიამ იმიჯი შეიცვალა. ქეთა არასდროს გაურბის სიახლეებს და მრავალფეროვანი სტილით თავის გულშემატკივრებს ყოველთვის აოცებს. ამჯერად მომღერალმა ექსპერიმენტი საკუთარ თმაზე ჩაატარა და დაიხვია.

– ცოტაოდენი ქართული – ასე აფასებს თავის ახალ ვარცხნილობას „ა სტუდიოს“ ქართველი სოლისტი და ინსტაგრამზე ახალ იმიჯში გადაღებულ ფოტოს აქვეყნებს.

ქეთას თმა ნამდვილად წააგავს ქართულს და ფაფახის იმიტაციას იწვევს. „ოჰო, პუდელივით ხარ“, „საოცრად გიხდება“, „ლამაზი გოგო ხარ“, – ასე უწონებენ მომღერალს გადაწყვეტილებას გულშემატკივრები.

ქეთა რომ რუსეთში ძალიან პოპულარულია და ბევრი ფანი ჰყავს, ისიც ადასტურებს, რომ ახალი იმიჯით გადაღებულ რამდენიმე საათის წინ დადებულ ფოტოს, ათასობით მოწონება აქვს.

# მაია ასათიანს ისევ აკრიტიკებენ



გადაცემა „პროფილი“ და მისი წამყვანი მაია ასათიანი მუდმივად კრიტიკის ობიექტი ხდება. მისი თემები სულ უფრო მძაფრი და პრობლემატურია, რაც მაყურებელში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ამჯერად კრიტიკის ობიექტი არა გადაცემის თემა, არამედ თვითონ წამყვანი გახდა.

მხატვარი და ვიზაჟისტი ანუკა მურვანიძე მაია ასათიანს მანერების დახვეწას და ძველი გოგოს იმიჯის შეცვლას ურჩევს.

ანუკა მურვანიძე:

– უკაცრავად, მაია ასათიანმა მანერები შეცვალა და იმიჯზე იმუშავა??? აქ ფეისბუქზე წავაწყდი შემთხვევით და გული გამისკდა, ცოტა „ძველი გოგოს“ იმიჯი და ხელების უცნაური კლაკვნა, დახეული ჯინსი-კომბინიზონი... უკაცრავად და რის პროპაგანდას აკეთებს? ფემინიზმის? ეს ფემინიზმი არაა, უკაცრავად და ეს ყ...ობაა... ჯერ ფემინიზმი უნდა კარგად იცოდე რა არის და მერე პროპაგანდას უწევდე!! საერთოდ ჩვენი ტვ არის უკვე დაუჯერებელი ამბების და სივრცის, აბსურდის სამყარო. ხალხი რითი იწამლება, ამაზე ცალკეა საჭირო საუბარი და მერწმუნეთ, გემოვნებაზე დავობენ... აუცილებლააააად!

ეკა ირემაშვილი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# თბილისი-ანკარა-ბაქო: თანამშრომლობა ფართოვდება

## რა შანსები გაუჩნდა საქართველოს?

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოსთვის თურქეთი და აზერბაიჯანი სტრატეგიული პარტნიორები არიან. ამაზე ცოტა ხნის წინ სომხეთში ჩასულმა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმაც განაცხადა. აზერბაიჯანული მედიის ცნობით, ამ განცხადებას მასპინძლები კმაყოფილებით არ შეხვედრიან.

საქართველო, თურქეთი და აზერბაიჯანი დიდი ხანია, მრავალმხრივად თანამშრომლობენ. სამი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს 2012 წლიდან სისტემატურად ხვდებიან. შეხვედრების ამ ფორმატს მაშინვე დაარქვეს ნატოცენტრისტული, იქიდან გამომდინარე, რომ თურქეთი ალიანსის წევრია, საქართველო ნატოსკენ მიისწრაფვის, აზერბაიჯანი კი ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს.

თბილისში ამ ფორმატის მეხუთე შეხვედრის წინ უცხოური მედია სამი სახელმწიფოს ურთიერთობის გაფართოებაზე ალაპარაკდა. ამას წინ უძღოდა საქართველო-ირანის წარმომადგენლების შეხვედრები და თანამშრომლობის პერსპექტივების დასახვა. მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ საქართველო ირანიდან მიიღებს გაზს სომხეთის გავლით, ქვეყნებს შორის დაიწყება სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა.

– თუ ადრე სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტებზე ერთმანეთთან თანამშრომლობის ასპექტებს განიხილავდნენ, დღეისათვის შეხვედრის დღის წესრიგი ევოლუციას განიცდის: შეინიშნება რამდენიმე ახალი სამკუთხედის შექმნის მცდელობა, – წერს სააგენტო რეგნუმი.

ასეთი სამკუთხედებია: აზერბაიჯანი-ირანი-თურქეთი; აზერბაიჯანი-თურქეთი-თურქმენეთი და აზერბაიჯანი-თურქეთი-ყაზახეთი.

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩავუშოღლუ აცხადებს, რომ ახალმა ურთიერთობებმა საერთო ინტერესების ზონაში უნდა მოაქციოს სამხრეთ კავკასია, ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზები და კასპიის ზღვა.

რეგნუმის თქმით, არის კიდევ ერთი გეოპოლიტიკური პროექტი, რომელიც ანკარას აქვს ჩაფიქრებული. ესაა აზერბაიჯანის გადაქცევა კარიბჭედ ევროკავშირისთვის კასპიის რეგიონსა და შუა აზიაში შესაღწევად.

მედიის მტკიცებით, საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის გულითადი თანხმობა ორიენტირებულია ენერგორესურსებზე, უფრო ზუსტად, კასპიის რეგიონის ენერგორესურსების თურქეთში ექსპორტზე.

სწორედ ამას ემსახურება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენები და ბაქო-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა.

ამასთან, რეგნუმის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამ პროცესებში რეალურია საქართველოს როლის ზრდა. ისინი საქართველოს ჩრდილოელ მეზობელთან კონტაქტებსაც ურჩევენ:

– თბილისმა არ უნდა გააკეთოს არჩევანი მოსკოვს, ბაქოსა და ერევანს, ასევე თეირანს შორის. მან ყველასთან უნდა ითანამშრომლოს. ეს საჭიროა იმისთვის, რომ საქართველომ დაიმკვიდროს უმნიშვნელოვანესი რეგიონული ჰაბის სახელი. მას შეუძლია ენერგორესურსების მიღება ირანიდან და აზერბაიჯანიდან. იმავდროულად, საქართველოს შეუძლია მონაწილეობა ჩრდილოეთ-სამხრეთის ფართო დერეფნის შექმნაში, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებდა საქართველოს, რუსეთს, ირანსა და სომხეთს.

– საქართველოს მონაწილეობა ერთბაშად საქართველო-სომხეთი-ირანის, ასევე საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის ალიანსებში საგრძნობლად გაზრდის მის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, – ასკვნის რეგნუმი.

ირანთან ურთიერთობების აღდგენა რეალობაა. რაც შეეხება რუსეთთან ენერგეტიკულ თანამშრომლობას, წესით, ირანული გაზის მოწოდებამ ამის საჭიროება უნდა მოხსნას.



# რონალდინიო შეიძლება ნიუკასლის ფეხბურთელი გახდეს



ბრაზილიელი ფეხბურთის ლეგენდა რონალდინიო კარიერის დასრულებას არ აპირებს. ამჟამად ის 35 წლის არის და არცერთ გუნდში არ ირიცხება, მაგრამ როგორც მისი აგენტი აცხადება, რონალდინიოს რამდენიმე ინგლისური გუნდიდან აქვს შემოთავაზებები.

ერთ-ერთი ასეთი კლუბი ნიუკასლია, რომელსაც საკმაოდ დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვს.

ინგლისურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნიუკასლი რონალდინიოს წელიწადში 6 მილიონ გირვანქა სტერლინგს სთავაზობს, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი ციფრია.

ასე რომ, არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში რონალდინიო ნიუკასლის მაისურით ვიხილოთ. ბრაზილიელი ფეხბურთელის ბოლო გუნდი ბრაზილიური ფლუმინენსე იყო.

# უეინ რუნის ჩინეთში ეპატიჟებიან



უეინ რუნი ბოლო პერიოდში ველარ აჩვენებს იმ ფეხბურთს, რომლითაც ის ინგლისის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი გახდა. მიუხედავად ამისა, მის მიმართ მაინც დიდი ინტერესია და მისი გადაბირების სურვილი ჩინელებსაც გაუჩნდათ.

ჯერჯერობით გუნდის ვინაობა უცნობია, მაგრამ ჟურნალისტებმა გაიგეს, რომ რუნის ჩინეთში ხელფასის სახით კვირაში 500 ათას გირვანქა სტერლინგს დაჰპირდნენ. უეინი უკვე 30 წლის არის და, სავარაუდოდ, ასეთ მსუყე წინადადებას ხელიდან არ გაუშვებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ მანჩესტერში ლუი ვან გაალი დარჩება, რომელთანაც რუნის არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს.

# გუნდოგანმა ბარსელონას უარი უთხრა

დორტმუნდის ბორუსიას 25 წლის ნახევარმცველმა ილქაი გუნდოგანმა ბარსელონას წინადადება უარყო, რადგან ის კარიერის გაგრძელებას მანჩესტერ სიტიში აპირებს. კატალონიური გუნდი რამდენჯერმე იყო დაინტერესებული ამ ტრანსფერით, მაგრამ საბოლოოდ გუნდოგანი ბორუსიაში დარჩა. ესპანურ პრესას თუ დავუჯერებთ თურქული წარმოშობის ფეხბურთელმა თვითონ არ მოისურვა ბარსელონაში გადასვლა და თავისი არჩევანი მანჩესტერ სიტიზე შეაჩერა, რომელსაც მომავალ სეზონში ხოსეპ გვარდიოლა გაწვრთნის. გუნდოგანი დიდი ხანია, ბორუსიაში ასპარეზობს და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლება, მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად აწუხებს ტრავმები, რის გამოც გუნდოგანმა საკმაოდ ბევრი მატჩი გამოტოვა.

# გვარდიოლას მანჩესტერ სიტისთვის ტონი კროოსი სურს



უკვე ყველასთვის ცნობილია, რომ მომავალი სეზონიდან მანჩესტერ სიტის ხოსეპ გვარდიოლა ჩაუდგება სათავეში.

ესპანელმა სპეციალისტმა უკვე დაიწყო თავის მომავალ გუნდზე ზრუნვა. გვარდიოლა მადრიდის რეალის გერმანელ ნახევარმცველს ტონი კროოსს დაუკავშირდა და სიტიში გადასვლა შესთავაზა. კროოსის ყიდვა ლონდონის ჩელსისაც სურს. ორივე გუნდს ეს ტრანსფერი ძვირად დაუჯდება, რადგან კროოსი რეალის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია და ზიდანი მასზე დიდი იმედებს ამყარებს. გარდა ამისა, მადრიდის რეალი ძირითადად ისეთ ფეხბურთელებს ყიდის, რომლებიც უკვე აღარ სჭირდება, კროოსი კი ამ ფეხბურთელების რიცხვში არ შედის.

# მანჩესტერ იუნაიტედის ფეხბურთელებს ხელფასებს შეუმცირებენ

ბოლო პერიოდში მანჩესტერ იუნაიტედი ძალიან ცუდ შედეგებს აჩვენებს. ინგლისის ჩემპიონატში ვან გაალის გუნდი მხოლოდ მეხუთე პოზიციაზეა. ამ ყველაფერს ევროპის ლიგაში მარცხიც დაემატა ნაკლებად ცნობილ დანიურ გუნდ მიდტიულანდთან. მანჩესტერული გუნდის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, თუ გუნდი სეზონის ბოლოს ჩემპიონთა ლიგის საგზურს ვერ მოიპოვებს, ფეხბურთელების ხელფასები 25%-ით შემცირდება. სავარაუდოდ, ეს ასეც მოხდება, რადგან მანჩესტერს პირველი ოთხეულისგან 6 ქულა აშორებს და თუ ამ გუნდის არასტაბილურ თამაშს გავითვალისწინებთ, ეს ჰანდიკაპი მისთვის რთული დასაძლევი იქნება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# რუსეთი თავდაცვის ხარჯებს ამცირებს



რუსეთი თავდაცვის ხარჯებს ამცირებს. შემცირებები სტრატეგიული დანიშნულების ჯარებსა და ატომურ წყალქვეშა ნავებსაც შეეხება.

— მიზეზი უკანასკნელ ხანს რუსეთში გამძაფრებული ეკონომიკური კრიზისია, — წერს გაზეთი „ვედომოსტი“.

ტელეინტერვიუში პრეზიდენტმა პუტინმა განაცხადა, რომ თავდაცვაზე ხარჯების შემცირება „სამწუხარო აუცილებლობაა“.

პუტინმა სამხედროებს მოუწოდა, ამ ფაქტს გაგებით მოეკიდონ.

# რომის პაპი დონალდ ტრამპს აკრიტიკებს



რომის პაპმა მკაცრად გააკრიტიკა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი ტრამპი მიგრანტების მიმართ მისი პოზიციის გამო.

პაპის აზრით, ადამიანი, რომელიც კედლების აშენებაზე ოცნებობს და მუსლიმანებს აშშ-ში ჩასვლას უკრძალავს, არ შეიძლება, ქრისტიანად იწოდებოდეს.

პაპის ამ გამონათქვამებმა შესაძლოა ტრამპის რეიტინგს დიდი დარტყმა მიაყენოს.

ტრამპი თავის გამოსვლებში მუდამ ხაზს უსვამდა იმას, რომ ქრისტიანული ფასეულობების მომხრეა. პაპის გამოსვლამ შესაძლოა მას ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაშოროს.

# პოლონეთი თავის ტერიტორიაზე ნატოს ჯარების განთავსებას მოითხოვს



რუსეთის აგრესია პოლონელების შეშფოთებას იწვევს. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვაშჩიკოვსკიმ თავის ამერიკელ კოლეგა ჯონ ქერისთან საუბარში ეს პირდაპირ განაცხადა.

ქერიმ პოლონელებს სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

პოლონელები სიტყვიერ მხარდაჭერას არ სჯერდებიან. „ამერიკის ხმისადმი“ მიცემულ ინტერვიუში ვაშჩიკოვსკი აცხადებს, რომ რუსეთის შეჩერება მხოლოდ ძალას შეუძლია.

ვაშჩიკოვსკიმ მკაცრად გააკრიტიკა ის დასავლელი პოლიტიკოსები, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპაში ნატოს ჯარების განლაგებას გაურბიან.

— არგუმენტი, რომ რუსეთი ამით განრისხდება და კიდევ უფრო აგრესიული გახდება, ყოვლად უსუსურია. პირიქით, რუსეთი მაშინ გახდება აგრესიული, როცა დაინახავს, რომ დასავლეთი წინააღმდეგობის გასაწევად მზად არ არის, — აცხადებს ვაშჩიკოვსკი.

მინისტრის აზრით, რუსეთი ნებისმიერ შემთხვევაში განავითარებს თავის სამხედრო ინფრასტრუქტურას, ჩაატარებს ფართომასშტაბიან სამხედრო სწავლებებს. გამორიცხული არ არის სამხედრო დარტყმები როგორც ბალტიის ქვეყნებზე, ასევე პოლონეთზეც, რომელსაც კრემლი აღმოსავლეთ ევროპაში ამერიკელების ყველაზე საიმედო მოკავშირედ მიიჩნევს.

— მხოლოდ ნატოს ჯარის განლაგება აღმოსავლეთ ევროპაში არის ფაქტორი, რომელიც რუსებს შეაჩერებს, — ამბობს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.

# ნიკიტა მიხალკოვი პუტინს მხარს უჭერს



კინორეჟისორმა ნიკიტა მიხალკოვმა პუტინს ხელისუფლებაში დარჩენისკენ მოუწოდა.

მიხალკოვის აზრით, სახელმწიფო დონეზე უნდა დაიგმოს ის ლიბერალური გარდაქმნები, რომლებსაც გორბაჩოვი და ელცინი ახორციელებდნენ.

— თუკი რუსეთის ხელისუფლებაში ლიბერალები დაბრუნდნენ, ეს ნამდვილი კატასტროფა იქნება, — ამბობს მიხალკოვი.

ნიკიტა სერგეევიჩის აზრით, პუტინი პრეზიდენტის პოსტზე მესამე ვადითაც უნდა დარჩეს. მნიშვნელობა არ აქვს იმას, რომ ამით კონსტიტუცია ირღვევა.

— პუტინი ერთადერთი ფიგურაა, რომელსაც ქვეყნის ხსნა შეუძლია, — ამბობს მიხალკოვი.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ერდოღანმა ერაყს დაარტყა



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა პირობა შეასრულა. ანკარის ტერაქტისთვის შურისმაძიებელი პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. თურქეთის ავიაციამ ერაყის ტერიტორიაზე დარტყმა განახორციელა. დაბომბვების შედეგად დაღუპულია 70-მდე ქურთი მებრძოლი. თურქეთის კონტრდაზვერვის აზრით, ანკარის ტერაქტი კარგად იყო დაგეგმილი. თურქეთის უშიშროება თვლის, რომ აქცია სირიელმა ქურთებმა მოამზადეს და განახორციელეს. აღნიშნული მოსაზრება ერდოღანმაც გაიმეორა, თან დაუმატა, რომ ქურთებს ამას არ შეარჩენს.

— ტერორისტებმა პირველი დარტყმები უკვე იგემეს. ეს მხოლოდ დასაწყისია, — თქვა ერდოღანმა.

სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, თურქეთის ტერიტორიიდან სირიაში 500-მდე მებრძოლი გადავიდა. დიქტატორმა ასადმა თურქეთი აგრესიაში დაადანაშაულა.

— თუკი თურქეთი მსგავს ქმედებებს არ შეწყვეტს, შესაბამის ზომებს მივიღებთ, — განაცხადა ასადმა.

# უკრაინა: მმართველი უმრავლესობა დაიშალა

უკრაინაში ბატკივშჩინასთან ერთად მმართველი უმრავლესობა ორგანიზაცია სამოპომოშჩმაც დატოვა. ამრიგად, პროდასავლური უმრავლესობა უკრაინის პარლამენტში დაიშალა.

— მიუხედავად ამისა, უკრაინაში ამ ეტაპზე რადიკალური ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, — აცხადებს პოლიტოლოგი ტარანი.

ექსპერტის აზრით, ხელისუფლება ახალ უმრავლესობას შეაკოწიწებს. პოროშენკოს ბლოკსა და იაცენიუკის სახალხო ფრონტს ერთად სულ 216 ხმა აქვთ, თუმცა კონსტიტუციური უმრავლესობის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია 226 ხმა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დეფიციტი შესაძლოა შეავსოს მმართველ კოალიციაში ოლეგ ლიაშკოს რადიკალური პარტიის დაბრუნებამ.

ლიაშკოსა და იაცენიუკის შეხვედრა უკვე შედგა. ლიაშკომ ჟურნალისტებთან საუბარში მიანიშნა, რომ შესაძლებელია, ახალი უმრავლესობის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღოს. ექსპერტები საუბრობენ სხვა ვარიანტებზეც ანუ იმაზე, რომ ახალი უმრავლესობა შეიქმნება პოროშენკოს ბლოკის, სახალხო ფრონტისა და მაჟორიტართა ალიანსის საფუძველზე. ყველა ექსპერტი გამორიცხავს მმართველ უმრავლესობასთან ოპოზიციური ბლოკის შეერთებას, რომელიც ძირითადად იანუკოვიჩის მომხრეებითაა დაკომპლექტებული.

— ოპოზიციური ბლოკი ბევრ საკითხში პოროშენკო-იაცენიუკს მხარს უჭერდა, მომავალშიც ასე გაგრძელდება, თუმცა უმრავლესობასთან მათი აშკარა შეერთება არ მოხდება, — თვლის ტარანი.



მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჩვენს ნანატრსა და საყვარელ შვილიშვილს

**დაჩი სირბილაძეს**

ვულოცავთ დაბადების დღეს.
ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდ სიხარულს, დიდხანს სიცოცხლეს,
სასიხარულო და საამაყო ოჯახის შექმნას.
ვუსურვებთ უფლის წყალობას.

*ჟუჟუნა ბებო, გივი ბაბუა (პაპა)*



# განცხადებები

## მკურნალობა

● ანტითამბაქო – მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო შედეგიანი პარასამკურნალო საშუალება, რომელიც დაგეხმარებათ თამბაქოზე თავის დანებებაში — ფიტოკომპანია „ედელვაისისგან“. ფასი 60-65 ლარი. შეგვიძლია ადგილზე მოწოდებაც და რეგიონებში გაგზავნაც მოთხოვნის შემთხვევაში. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● 50 წლის პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ევროპა ინგლისის გარეშე მოიწყენს

ამ უქმეებზე ევროპა ინგლისის გარეშე ჩაივლის. სხვა ქვეყნებშიც დიდად გამოსარჩევი მატჩები არ არის, მაგრამ რამდენიმე მათგანი საყურადღებოა: ესპანეთში ბასკური დერბია — ბილბაო-სოსიედადი, გერმანიაში ლევერკუზენი-დორტმუნდის დაპირისპირება იქნება საინტერესო, ხოლო იტალიაში — ნაპოლი-მილანი.

## სტატისტიკა, ფსონები



### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.02 ლას პალმასი-ბარსელონა | 15.0 | 7.5 | 1.17 |
| 20.02 ესპანიოლი-დეპორტივო | 2.45 | 3.1 | 3.0 |
| 20.02 ბეტისი-ხიხონი | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 20.02 სელტა-ეიბარი | 1.95 | 3.3 | 4.0 |
| 21.02 რაიო-სევილია | 3.1 | 3.5 | 2.2 |
| 21.02 მალაგა-რეალი | 4.75 | 4.0 | 1.67 |
| 21.02 გრანადა-ვალენსია | 2.75 | 3.2 | 2.62 |
| 21.02 ბილბაო-სოსიედადი | 1.8 | 3.6 | 4.4 |
| 21.02 ატლეტიკო-ვილიარეალი | 1.53 | 3.75 | 7.0 |

**ლას პალმასი-ბარსელონა**

ლას პალმასი: ***ტრავმ***-ჰერნანი, დანიელ კასტელანო, ანგელ მონტორო, ხოსე ვისენტე გომესი, ხავი კასტელანო; ***დისკვ***-მუბარაქ ვაკასო

ბარსელონა: ***ტრავმ***-რაფინია

**ესპანიოლი-დეპორტივო**

ესპანიოლი: ***ტრავმ***-მამადუ სილა, გიედრიუს არლაუსკასი, ანაიც არბილია

დეპორტივო: ***ტრავმ***-კანი

**ბეტისი-ხიხონი**

ბეტისი: ***ტრავმ***-კრისტიანო პიცინი

ხიხონი: ***ტრავმ***-ლუის ჰერნანდესი, დანიელ ნდი, ანტონიო სანაბრია, ბერნარდო ესპინოზა

**სელტა-ეიბარი**

სელტა: ***ტრავმ***-ანდრიუ ფონტასი; ***დისკვ***-ფაბიან ორელანა

ეიბარი: ***ტრავმ***-კეკო გონტანი, ივან რამისი; ***დისკვ***-დანი გარსია

**რაიო-სევილია**

რაიო: ***ტრავმ***-ტონო, პატრიკ ებერტი, რაზვან რაცი; ***დისკვ***-ქუინი

სევილია: ***ტრავმ***-გრჟეგორჟ კრიშევიაკი, მარკო ანდრეოლი, ნიკოლას პარეხა

**მალაგა-რეალი**

მალაგა: ***ტრავმ***-კრისტიან ატსუ, გონსალო კასტრო, ხუან კარლოსი

რეალი: ***ტრავმ***-გარეთ ბეილი; ***დისკვ***-რაფაელ ვარანი

**გრანადა-ვალენსია**

გრანადა: ***ტრავმ***-სალვა რუიცი

ვალენსია: ***ტრავმ***-არავინ

**ბილბაო-სოსიედადი**

ბილბაო: ***ტრავმ***-იბაი გომესი, რაულ გარსია; ***დისკვ***-ხავიერ ეჩეიტა

სოსიედადი: ***ტრავმ***-კარლოს მარტინესი, იმანოლ აგირეჩე, სერხიო კანალესი

**ატლეტიკო-ვილიარეალი**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-იანიკ კარასკო, ავგუსტო ფერნანდესი, ტიაგო; ***დისკვ***-ხოსე ხიმენესი

ვილიარეალი: ***ტრავმ***-სამუ, ადრიანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 19 | 3 | 2 | 65-19 | 60 |
| 2.ატლეტიკო | 24 | 17 | 3 | 4 | 35-11 | 54 |
| 3.რეალი | 24 | 16 | 5 | 3 | 70-23 | 53 |
| 4.ვილიარეალი | 24 | 14 | 6 | 4 | 30-18 | 48 |
| 5.სევილია | 24 | 11 | 7 | 6 | 34-24 | 40 |
| 6.ეიბარი | 24 | 10 | 6 | 8 | 38-31 | 36 |
| 7.ბილბაო | 24 | 10 | 5 | 9 | 35-34 | 35 |
| 8.სელტა | 24 | 10 | 5 | 9 | 35-42 | 35 |
| 9.დეპორტივო | 24 | 6 | 14 | 4 | 33-30 | 32 |
| 10.სოსიედადი | 24 | 8 | 6 | 10 | 34-34 | 30 |
| 11.მალაგა | 24 | 8 | 6 | 10 | 21-21 | 30 |
| 12.ვალენსია | 24 | 6 | 10 | 8 | 28-25 | 28 |
| 13.ხეტაფე | 24 | 7 | 5 | 12 | 26-36 | 26 |
| 14.ბეტისი | 24 | 6 | 8 | 10 | 18-33 | 26 |
| 15.რაიო | 24 | 6 | 6 | 12 | 32-49 | 24 |
| 16.ხიხონი | 24 | 6 | 5 | 13 | 27-41 | 23 |
| 17.ესპანიოლი | 24 | 6 | 4 | 14 | 21-48 | 22 |
| 18.ლას პალმასი | 24 | 5 | 6 | 13 | 23-38 | 21 |
| 19.გრანადა | 24 | 5 | 5 | 14 | 25-49 | 20 |
| 20.ლევანტე | 24 | 4 | 5 | 15 | 21-45 | 17 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.02 ბაიერნი-დარმშტადი | 1.06 | 11.0 | 34.0 |
| 20.02 ინგოლშტადი-ვერდერი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 20.02 ჰერტა-ვოლფსბურგი | 2.75 | 3.2 | 2.6 |
| 20.02 გლადბახი-კიოლნი | 1.95 | 3.75 | 3.6 |
| 20.02 ჰოფენჰაიმი-მაინცი | 2.5 | 3.3 | 2.8 |
| 21.02 ლევერკუზენი-დორტმუნდი | 3.4 | 3.6 | 2.05 |
| 21.02 შალკე-შტუტგარტი | 2.1 | 3.8 | 3.1 |
| 21.02 ჰანოვერი-აუგსბურგი | 2.7 | 3.25 | 2.62 |

**ბაიერნი-დარმშტადი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-ხავი მარტინესი, ჟერომ ბოატენგი, მეჰდი ბენათია, მილოშ პანტოვიჩი; ***დისკვ***-ხაბი ალონსო

დარმშტადი: ***ტრავმ***-არავინ

**ინგოლშტადი-ვერდერი**

ინგოლშტადი: ***ტრავმ***-დანილო სუარესი, ტობიას ლეველი

ვერდერი: ***ტრავმ***-სანტიაგო გარსია, ფილიპ ბაგფრიდი, ლუკა-მილან ზანდერი, იანეკ სტემბერგი, არონ იოჰანსენი

**ჰერტა-ვოლფსბურგი**

ჰერტა: ***ტრავმ***-როი ბეერენსი, რონი, სალომონ კალუ

ვოლფსბურგი:ჯოშუა გულავოგი, ბას დოსტი, მაქსიმილიან არნოლდი: ***ტრავმ***-

**გლადბახი-კიოლნი**

გლადბახი: ***ტრავმ***-ტონი იანჩკე, ალვარო დომინგესი, ანდრე ჰანი, ნიკო შულცი, პატრიკ ჰერმანი

კიოლნი: ***ტრავმ***-არავინ

**ჰოფენჰაიმი-მაინცი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-სტივენ ზუბერი

მაინცი: ***ტრავმ***-იოშინორი მუტო, ფილიპ კლემენტი

**ლევერკუზენი-დორტმუნდი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-კრისტოფერ კრამერი, ხავიერ ერნანდესი, ლარს ბენდერი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-პიერ აბამეიანგი, სვენ ბენდერი

**შალკე-შტუტგარტი**

შალკე: ***ტრავმ***-ტილო კერერი, მარკო ჰოგერი, ბენედიკტ ჰეივედესი, მატია ნასტასიჩი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ტიმო ბაუმგარტი, დანიელ გინსეკი; ***დისკვ***-დანიელ დიდავი

**ჰანოვერი-აუგსბურგი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-უგო ალმეიდა, ადამ ზალაი, კრისტიან შულცი, ოლივერ სორგი, ჩარლისონ ბენშოპი, ლეონ ანდრეასენი

აუგსბურგი: ***ტრავმ***-დანიელ ბაიერი, იან-ინგვერ კალსენ-ბრაკერი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 21 | 18 | 2 | 1 | 53-10 | 56 |
| 2.დორტმუნდი | 21 | 15 | 3 | 3 | 53-24 | 48 |
| 3.ლევერკუზენი | 21 | 10 | 5 | 6 | 31-22 | 35 |
| 4.ჰერტა | 21 | 10 | 5 | 6 | 29-23 | 35 |
| 5.შალკე | 21 | 10 | 3 | 8 | 30-28 | 33 |
| 6.მაინცი | 21 | 10 | 3 | 8 | 27-25 | 33 |
| 7.გლადბახი | 21 | 10 | 2 | 9 | 42-38 | 32 |
| 8.ვოლფსბურგი | 21 | 8 | 6 | 7 | 31-28 | 30 |
| 9.კიოლნი | 21 | 7 | 8 | 6 | 24-27 | 29 |
| 10.შტუტგარტი | 21 | 8 | 3 | 10 | 33-41 | 27 |
| 11.ჰამბურგი | 21 | 7 | 5 | 9 | 25-30 | 26 |
| 12.ინგოლშტადტი | 21 | 7 | 5 | 9 | 14-23 | 26 |
| 13.დარმშტადტი | 21 | 6 | 6 | 9 | 22-31 | 24 |
| 14.აუგსბურგი | 21 | 5 | 6 | 10 | 23-31 | 21 |
| 15.აინტრახტი | 21 | 5 | 6 | 10 | 27-37 | 21 |
| 16.ვერდერი | 21 | 5 | 5 | 11 | 25-42 | 20 |
| 17.ჰოფენჰაიმი | 21 | 2 | 9 | 10 | 19-31 | 15 |
| 18.ჰანოვერი | 21 | 4 | 2 | 15 | 19-36 | 14 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.02 ვერონა-კიევო | 2.37 | 3.1 | 2.87 |
| 20.02 ინტერი-სამპდორია | 1.6 | 3.75 | 5.0 |
| 21.02 სასუოლო-ემპოლი | 2.05 | 3.1 | 3.6 |
| 21.02 ტორინო-კარპი | 1.6 | 3.5 | 5.5 |
| 21.02 ჯენოა-უდინეზე | 2.1 | 3.2 | 3.75 |
| 21.02 ატალანტა-ფიორენტინა | 3.4 | 3.1 | 2.1 |
| 21.02 ფროზინონე-ლაციო | 5.0 | 3.5 | 1.73 |
| 21.02 რომა-პალერმო | 1.36 | 4.5 | 7.5 |
| 22.02 ნაპოლი-მილანი | 1.61 | 3.8 | 4.8 |

**ვერონა-კიევო**

ვერონა: ***ტრავმ***-ფედერიკო ვივიანი, სამუელ სოპრაიენი

კიევო: ***ტრავმ***-ანტონიო ფლორო ფლორესი, ალესანდრო გამბერინი, რიკარდო მეჯორინი, ფედერიკო მატიელო; ***დისკვ***-ივან რადოვანოვიჩი

**ინტერი-სამპდორია**

ინტერი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-ჯოფრი კონდოგბია, გარი მედელი, ალექს ტელესი

სამპდორია: ***ტრავმ***-მობიდო დიაკატე, ჯაკოპო სალა, კარლოს კარბონერო, ლორენცო დი სილვესტრი

**სასუოლო-ემპოლი**

სასუოლო: ***ტრავმ***-ქარიმ ლარიბი

ემპოლი: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-მარიო რუი

**ტორინო-კარპი**

ტორინო: ***ტრავმ***-აფრი ასკუა, ჩეზარე ბოვო

კარპი: ***ტრავმ***-იგორ ბუბნიჩი, მატეო ფედელე

**ჯენოა-უდინეზე**

ჯენოა: ***ტრავმ***-კრისტიან ანსალდი, ლეანდრო პავოლეტი

უდინეზე: ***ტრავმ***-მაურისიო დომიცი, ჯოვანი პასკუალე, ალექსანდერ მერკელი

**ატალანტა-ფიორენტინა**

ატალანტა: ***ტრავმ***-კარლოს კარმონა

ფიორენტინა: ***ტრავმ***-არავინ; ***დისკვ***-მარკოს ალონსო, მაურო ზარატე

**ფროზინონე-ლაციო**

ფროზინონე: ***ტრავმ***-არავინ

ლაციო: ***ტრავმ***-დუშან ბასტა, სტეფან დე ვრეი

**რომა-პალერმო**

რომა: ***ტრავმ***-ნორბერტ გიომბერი, კევინ სტროოტმანი

პალერმო: ***ტრავმ***-სტეფანო სორენტინო, ედუარდო კოლდანიგა

**ნაპოლი-მილანი**

ნაპოლი: ***ტრავმ***-არავინ

მილანი: ***ტრავმ***-იურაი კუჩკა, როდრიგო ელი, დიეგო ლოპესი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 25 | 18 | 3 | 4 | 46-15 | 57 |
| 2.ნაპოლი | 25 | 17 | 5 | 3 | 53-20 | 56 |
| 3.ფიორენტინა | 25 | 15 | 4 | 6 | 44-24 | 49 |
| 4.რომა | 25 | 13 | 8 | 4 | 47-27 | 47 |
| 5.ინტერი | 25 | 13 | 6 | 6 | 31-22 | 45 |
| 6.მილანი | 25 | 12 | 7 | 6 | 37-27 | 43 |
| 7.ლაციო | 25 | 10 | 6 | 9 | 34-34 | 36 |
| 8.სასუოლო | 25 | 8 | 11 | 6 | 29-29 | 35 |
| 9.ემპოლი | 25 | 9 | 7 | 9 | 30-34 | 34 |
| 10.ბოლონია | 25 | 10 | 3 | 12 | 29-31 | 33 |
| 11.კიევო | 25 | 8 | 7 | 10 | 30-33 | 31 |
| 12.ტორინო | 25 | 8 | 7 | 10 | 33-33 | 31 |
| 13.ატალანტა | 25 | 7 | 8 | 10 | 23-27 | 29 |
| 14.უდინეზე | 25 | 7 | 6 | 12 | 21-38 | 27 |
| 15.პალერმო | 25 | 7 | 5 | 13 | 27-42 | 26 |
| 16.ჯენოა | 25 | 6 | 7 | 12 | 25-30 | 25 |
| 17.სამპდორია | 25 | 6 | 7 | 12 | 36-43 | 25 |
| 18.ფროზინონე | 25 | 6 | 4 | 15 | 26-51 | 22 |
| 19.კარპი | 25 | 4 | 7 | 14 | 23-43 | 19 |
| 20.ვერონა | 25 | 1 | 12 | 12 | 21-42 | 15 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.02 ბასტია-ნანტი | 3.4 | 2.8 | 2.45 |
| 20.02 პსჟ-რეიმსი | 1.2 | 6.0 | 15.0 |
| 20.02 მონაკო-ტრუა | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 20.02 ანჟე-მონპელიე | 2.8 | 3.1 | 3.4 |
| 20.02 ლორიანი-გენგამი | 2.25 | 3.1 | 3.4 |
| 20.02 ტულუზა-გაზელეკი | 1.83 | 3.3 | 4.75 |
| 21.02 მარსელი-სტ.ეტიენი | 1.95 | 3.25 | 4.2 |
| 21.02 კაენი-რენი | 2.8 | 3.1 | 2.62 |
| 21.02 ლილი-ლიონი | 2.62 | 3.1 | 2.8 |

**ბასტია-ნანტი**

ბასტია: ***ტრავმ***-სებასტიან სკილაჩი, კრისტოფერ მაბულუ, ჟულიენ რომანი, ალექსანდერ ჯიკუ; ***დისკვ***-ჟან-ლუი ლეკა

ნანტი: ***ტრავმ***-კოფი ჯიჯი, ალექსის ელანდი, ვალენტინ რონიე

**პსჟ-რეიმსი**

პსჟ: ***ტრავმ***-ეზეკიელ ლავეცი

რეიმსი: ***ტრავმ***-დავიდ ნგოგი, ტეოსონ სიბაჩი, ანტონი ვებერი, ფრედერიკ ბულო, უგო როდრიგესი, გრეიონ კილი, ანტუან კონტე

**მონაკო-ტრუა**

მონაკო: ***ტრავმ***-ფაბიო კოენტრაუ, ბერნარდო სილვა, ადამა ტრაორე, ლასინა ტრაორე, ჯერემი ტულანანი, ივან კავალიერო

ტრუა: ***ტრავმ***-მორი კონე

**ანჟე-მონპელიე**

ანჟე: ***ტრავმ***-სლიმანე სისოკო, ოლივიე აურიასი, ფერედორი დორე

მონპელიე: ***ტრავმ***-მორგან სანსონი, პოლ ლასნე, ჟოფრი იურდრენი

**ლორიანი-გენგამი**

ლორიანი: ***ტრავმ***-იან ჟოფრე, მარვინ ჯაკპა, ვესლი ლაუტოა

გენგამი: ***ტრავმ***-რეინალდ ლემო, დორიან ლევე, ნიკოლას ბენეზეტი, ჯონათან პერეირა, ნილ დე პოუ, მამადუ სამასა

**ტულუზა-გაზელეკი**

ტულუზა: ***ტრავმ***-ტონგო დუმბია, ვილიამ მატეუსი, პავლე ნინკოვი, ჟან-არმელ კანა-ბიიკი

გაზელეკი: ***ტრავმ***-გრეგუარ პუიოლი

**მარსელი-სტ.ეტიენი**

მარსელი: ***ტრავმ***-ლუკას ოკამპოსი, ბენჯამინ მენდი, აბუ დიაბი

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ბენჯამინ კორნე, პიერ პოლომატი, კევინ მონე, ლიოკ პერინი, რომან ჰამუმა, ბენუა ასოუ-ეკოტო, ფრანსუა კლერკი, რობერტ ბერიჩი

**კაენი-რენი**

კაენი: ***ტრავმ***-ისმაილ დიომანდე, ემანუელ იმოროუ, ჯონათან დელაპლასე, ერვე ბაზილე

რენი: ***ტრავმ***-ხუან კინტერო, მეჰდი ზეფანე, ედსონ მექსე, იასოუბა სილა

**ლილი-ლიონი**

ლილი: ***ტრავმ***-მუნირ ობადი, ედერი, მარკო ბასა, მაიკ მაინანი

ლიონი: ***ტრავმ***-ალდო კალულუ, რაფაელი, ნაბილ ფეკირი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 22 | 4 | 0 | 63-12 | 70 |
| 2.მონაკო | 26 | 12 | 10 | 4 | 37-29 | 46 |
| 3.ნიცა | 26 | 11 | 7 | 8 | 39-30 | 40 |
| 5.სტ.ეტიენი | 26 | 12 | 4 | 10 | 31-29 | 40 |
| 5.ლიონი | 26 | 11 | 6 | 9 | 38-28 | 39 |
| 6.ნანტი | 26 | 10 | 9 | 7 | 26-24 | 39 |
| 7.რენი | 26 | 9 | 11 | 6 | 34-31 | 38 |
| 8.ანჟე | 26 | 10 | 7 | 9 | 25-24 | 37 |
| 9.ბორდო | 26 | 9 | 9 | 8 | 36-39 | 36 |
| 10.კაენი | 26 | 11 | 3 | 12 | 27-35 | 36 |
| 11.მარსელი | 26 | 8 | 11 | 7 | 36-27 | 35 |
| 12.ბასტია | 26 | 10 | 4 | 12 | 25-29 | 34 |
| 13.ლილი | 26 | 6 | 13 | 7 | 20-20 | 31 |
| 14.ლორიანი | 26 | 7 | 10 | 9 | 35-38 | 31 |
| 15.გენგამი | 26 | 8 | 7 | 11 | 28-34 | 31 |
| 16.მონპელიე | 26 | 8 | 5 | 13 | 30-31 | 29 |
| 17.რეიმსი | 26 | 7 | 8 | 11 | 27-34 | 29 |
| 18.გაზელეკი | 26 | 6 | 9 | 11 | 27-37 | 27 |
| 19.ტულუზა | 26 | 4 | 9 | 13 | 25-44 | 21 |
| 20.ტრუა | 26 | 2 | 8 | 16 | 19-53 | 14 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი ილიას ზუროსი მედიასთან წარადგინეს



საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებს ილიას ზუროსი გაწვრთნის. ბერძენმა სპეციალისტმა კალათბურთის ეროვნულ ფედერაციასთან კონტრაქტი გააფორმა. ფედერაციის მხრიდან კონტრაქტს ხელი პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ მოაწერა.

ხელშეკრულება 1+1-წლიანია და 2017 წლის ევრობასკეტზე საქართველოს ნაკრების გასვლის შემთხვევაში ის ავტომატურად გახანგრძლივდება. ილიას ზუროსი საკმაოდ დიდი სამწვრთნელო გამოცდილებისა და ტიტულების მქონე სპეციალისტია. ის საბერძნეთის ეროვნულ ნაკრებსა და რამდენიმე წამყვან ევროპულ კლუბს თავკაცობდა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი ქართველ ჟურნალისტებს გუშინ კალათბურთის ეროვნულ ფედერაციაში შეხვდა. ბერძენი სპეციალისტი მედიას კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მიხეილ გაბრიჩიძემ და ვიცეპრეზიდენტმა ვლადიმერ ბოისამ წარუდგინეს.

# ფეხბურთის ფედერაციამ ნანატრი პროექტი გაასაჯაროვა

ამ სისტემით ჩვენ დეკემბერ-თებერვალში ფეხბურთი არ გვექნება, მაშინ როცა ევროპის ქვეყნების ყველა ჩემპიონატი, რუსეთი გარდა, მიმდინარეობს.

რუსეთში ამ პერიოდში თამაში მართლაც რთულია, საქართველოში კი აბსოლუტურად მისაღებია.

გავყვეთ პროექტს.

უმაღლესი და პირველი ლიგა ორივე პროფესიული იქნება, რომელსაც მოჰყვება 2 სამოყვარულო ლიგა, სადაც დაახლოებით 60 გუნდამდე იქნებიან თავმოყრილნი.

როგორი იქნება დაფინანსების სისტემა?

მიმდინარე სეზონში ანუ მეორე წრეში (მაისის ბოლომდე) უმაღლესი ლიგის გუნდები მიიღებენ საბაზისო 800.000 ლარს, სტიმულირება იქნება 400.000, პრემია – 750.000.

გარდამავალ ჩემპიონატში (2016 წლის აგვისტოდან ნოემბრამდე): მიიღებენ საბაზისო 600.000, სტიმულირება – 300.000, პრემია – 600.000.

2017 წლის ჩემპიონატში (10-გუნდიანი, მარტიდან ნოემბრამდე): მიიღებენ საბაზისო – 1.000.000, სტიმულირება – 500.000, პრემია – 600.000, საპრიზო ფონდი – 6.000.000.

როგორც ხედავთ, 2017 წლიდან გამოჩნდა საპრიზო ფონდი, რომელიც ყველა გუნდს გადაენაწილება დაგროვილი ქულების მიხედვით. ესეც სიახლეა და თუნდაც ვადაზე ადრე გავარდნილი გუნდი არ კარგავს მოტივაციას ჩემპიონატში.

რა არის სტიმულირება? საბაზისოს გარდა, თუ კლუბები კიდევ მოიძიებენ სპონსორს, ფონდიც დამატებით იძლევა 400.000 ლარს. მაგალითად: თუ კლუბი ფეხბურთელს გაყიდის 100.000 ლარად, ფონდიც ამატებს 100.000-ს, თუმცა, თუ 500.000-ზე ძვირად გაყიდა ან მოიზიდა მილიონიანი სპონსორი, მიიღებს 500.000-ს, რადგან ეს სტიმულირების ჭერია.

ახალი სისტემის მიხედვით, ჩემპიონი დაახლოებით 3,5 მილიონ ლარს მოაგროვებს, ხოლო გავარდნილი გუნდის ბიუჯეტი 1,5 ლარით შეივსება.

არანაკლებ სოლიდური დაფინანსება იქნება პირველ ლიგაში, რამაც ერთი რანგით დაბლა მყოფი ტურნირი არანაკლებ საინტერესოდ უნდა აქციოს.

მოკლედ, პროექტი საინტერესოა, ოღონდ გაზაფხული-შემოდგომის სისტემაზე გადასვლა სწორი ნაბიჯი არ იქნება.

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# TV პროგრამა

## ორშაბათი 22 თებერვალი

06.30 მუსიკა 07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.00 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 10.50, 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**უდაოდ ალბათ**"

08.00 დ/ფ "ანატოლიის გარგარი" 09.00 მხ/ფ "**ბულის მოგზაურობა**" 10.30 დ/ფ "საბერძნეთი - ათენი" 11.00 ქართ. მხ/ფ "**ნამდვილი თბილისელები**" 12.30 დ/ფ "ჩეხეთის რესპუბლიკა" 13.00 დ/ფ "სიგარეტის გადაგდება" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 22.30, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 იუმორინა 00.00 მხ/ფ "**კაცი ჩანთით**" 02.10 მხ/ფ "**ჟიგოლოს ნიღბის ქვეშ**" (ვ.ალენი) 03.40 ერთხელ საქართველოში 05.00 მხ/ფ "**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯუნგლებში**" (ა.ბროუდი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 22.00 ქ.მხ/ფ. "3+3" 23.30, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00 Discovery ფულის საიდუმლო 10.00, 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 10.30, 2.20,ჯიდიპედია 11.30 შუადღე 14.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ცენტრი**" 15.30 Discovery ფილმების მეცნიერება 16.30 აირჩიე კაბა 20.00 ცოლები და ქმრები 20.30 20.30 22.00 მზარეულები 22.30 მხ/ფ "**შავი ბედი**" 0.25 ID Extra სასჯელს თითქმის გავექცი 1.25, URBAN STORIES

